



# ილორი



№ 11 (81) 21 აპრილი 2009 სანაღბო მოკრობა "სამეგრელოს" ორგანო 50 თეთრი


რედაქტორის გვერდი

## ერთსულოვნება

საქვეყნოდ იყო ცნობილი ქართული ერთსულოვნება, რაც ამ ციციქნა ერს საშუალებას აძლევდა, რომ რაოდენობით ათჯერ მეტ და ბევრად უკეთესად აღჭურვილ მტერს გამკლავებოდა, უკუეგდო და დაემარცხებინა. ქართული ერთსულოვნების კლასიკურ ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ დიდგორის "ძლევაი საკვირველი", სადაც 50 ათასმა ქართველმა მეომარმა კუდით ქვა ასროლინა ლამის 400.000 მომხდურს.

## მაფალუ

არ ვიცი, რად დასჭირდა ბ.კ კობახიძეს ასეთი პროვოკაცია; რომ მისი წერილი პროვოკაციას ემსახურება ამის დამტკიცება დასაბუთება შეადგენს ჩემი საპასუხო წერილის მთავარ დანიშნულებას...



**ხსოვნის სტრიქონები**  
 ნაწევრებას მივბრუნებ ენაზე შემხინაო ისტორიული პოეზიიდან "გულატიან", რომლის ავტორი ბახვალი თავადგომილი გამგეობის დამფუძნებელი და ზემოთხსენებული დანიშნული პოეზიის ავტორი იყო. იგი 28 წლის ასაკში შეიწირა კოლხეთის უმთავრესი სასამართლოს სიყვარულით გამსჯელებული ბულანთის პატრონი 1924 წლის თებერვალში დააკატირეს იმის გამო, რომ საბატონო მფლობელს დაემოკრებოდა რეპუბლიკის არსებობის დროს იყო ზუგდიდის სამხრეთ კომიტეტის პასუხისმგებელი პროკატორისტი. დააკატირებისას დანიშნული პოეზიის თემატიკის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხარე კურსზე სწავლობდა.



## დიდი მუსრანი 80 წლისაა

შენ, სისხლო ჩემო, სად არ დადვრილო, შენ სად არ გხვრეპდა შავი ყორანი!

ღავით მოხალისა სამეგრელო 1990-იან წლებში 4



ვაბრკელავთ ნაწევრების ბეჭდვას პროფსორ კლიმენტი შელიას წიგნიდან "კოლხეთი - ჩვენი სამყაროს კარიბჭე"


ისტორიული მასალები

სამეგრელოს საამაყო შვილაგი 5



წერილები ვინაი

ბაზეთი "ილორი" ამჟამად წერილების ციკლს, რომელიც ასახავს ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ბატალიებს.



ამის დაკარგვის, ან დავიწყების უფლება არც რუსსა აქვს და არც ქართველს! 6  
 ნაწევრები ვ.ველიცკოს წიგნიდან "კავკასია"

ლატვიის მცხოვრებლებს მიაჩნიათ, რომ რუსეთის ფედერაციასთან გაერთიანების შემთხვევაში მათი ცხოვრების პირობები ბევრად გაუმჯობესდება. 11



სხვადასხვა სახის ერთსულოვნება არსებობს – ეთნიკური, რელიგიური, სოციალური, კოლეგიალური, პროფესიული, ელემენტარულად – ადამიანური...

საქვეყნოდ იყო ცნობილი ქართული ერთსულოვნება, რაც ამ ციციქნა ერს საშუალებას აძლევდა, რომ რაოდენობით ათჯერ მეტ და ბევრად უკეთესად აღჭურვილ მტერს გამკლავებოდა, უკუგებოდა და დაემარცხებინა. ქართული ერთსულოვნების კლასიკური ნიმუშია შეიძლება მივიჩნიოთ დიდგორის "ძლევა საკვირველი", სადაც 50 ათასმა ქართველმა შემარმა კუდიტ ქვა ასროლინა ლამის 400.000 მომხდურს.

სწორედ ამ ერთსულოვნებამ აძლევს ნებსებას მწარედ ერთ-ერთ სპარსელ ბელადს: **"ღმერთმა ნუ ქნას, რომ ქართველებს ერთი პირი ჰქონდეთ"**.

ეს რომ უწყობდა საქართველოს მტერმა, სწორედ ამიტომ ცდილობდა ქართული ერთსულოვნების დარღვევას ოქროთი თუ სხვა ბრჭყვიალა სატყუარათი, რადგან კარგად იცოდა, რომ სხვაგვარად ქართველთა დახოცვას და დამარცხებას ვერ შესძლებდა. ქართველთა დამარცხება მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუ ქართულ სულს გათიშულობისა და ურთიერთშეურთხებლობის სოლით გახლეჩდნენ. ასე გვებრძოდნენ ბიზანტიელები, არაბები, ხაზარები, მონღოლები, სპარსელები, ოსმალები...

ასე იყო, ასე არის, მაგრამ, ასე აღარ უნდა იყოს!

წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს გაქრობა ემუქრება!

რადგან, თუ ადრე ქართველობისა და ქრისტიანობის დაუძინებელ მტერს მხოლოდ ოქრო და თანამდებობრივი სახელოები ჰქონდა სატყუარად, დღეს ამ საქმეს ემსახურებიან მილიონობით დოლარისა და ევროს ბიუჯეტის მქონე სხვადასხვა ფონდები, ინტერნეტსაიტები, სპეციალური ლიტერატურა, მხატვრული თუ დოკუმენტური ფილმები.

მაგრამ, ქართული ერთსულოვნება უხსოვარი დროიდან იღებს სათავეს და მას სატანის ოცდაათი ვერცხელი ვერ გააცამტვერებს. შეიძლება ვიდაც სულმოკლემ სული წაიწყმიდოს და იმ ოცდაათ ვერცხლს წაეპოტინოს, მაგრამ სრულიად საქართველო ყოველთვის ზიზღით უცქერდა ამგვარ სულმოკლეებს და დაუფარავად კიცხავდა მის შთამომავლობას.

ბერბიჭაშვილებმა შეიძლება გული გვატკინონ, მაგრამ ბერბიჭაშვილები ვერასოდეს გადააგვარებენ ქართველ ერს, რადგან ისინი ერთეულები არიან, ჭეშმარიტი მამულიშვილები კი ასიათასები.

ერთსულოვნების მაგალითს ქვეყნის ხელისუფლება და მმართველი ძალა უნდა აძლევდეს ხალხს. შეიძლება ეს ასეცაა მრავალ სახელმწიფოში, მაგრამ არა საქართველოში, სადაც ხალხს თავისი მიზნები, ამოცანები და მისწრაფებები გააჩნია, ხელისუფლების მთავარ საზრუნავს ქვეყნისა და ხალხის ძარცვა და გადამთივლთა პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური შეკვეთების შესრულება წარმოადგენს, რაც ძირითადად მიმართულია საქართველოსა და ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ.

რომელ ერთსულოვნებაზე შეიძლება საუბარი იმ ქვეყანაში, სადაც სამართლის საძიებლად ქუჩაში გამოსულ ქართველ ხალხს ხელისუფლების წარმომადგენელი გივი თარგამაძე გაცოფებული მისძახის **"სულს ამოგხდით!"**

ეს გახლავთ არა მხოლოდ სამარცხვინო მოვლენა, არამედ უმძიმესი სისხლის სამართლის დანაშაული,

# ეროსულოვნება

რედაქტორის გვერდი

რომელსაც გივი თარგამაძეს და ქართველი ხალხის სხვა "სულისამომხდელებს" ჩემი თანამემამულეები არასოდეს აპატიებენ.

განა ამის შემდეგ შეიძლება საუბარი საქართველოში ხალხისა და სახელისუფლებო ძალების ერთსულოვნებაზე?

სიმახინჯე (ხელისუფლება) და სილაშხე (ქართველი ერი) ვერასოდეს მოთავსდებიან ერთ სიბრტყეში. როგორ შეიძლება ქართველი ხალხის გულშემატკივრად მივიჩნიოთ მიხეილ სააკაშვილი, რომელიც არად დაგიდევს მოსახლეობის მძიმე ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას და პირადი სიამოვნებისათვის გერმანიიდან საკუთარი თვითმფრინავით ჩამოჰყავს ძვირადღირებული და სკანდალურად ცნობილი მასაჟისტი ქალბატონი, რომელიც, როგორც ჩანს, მხოლოდ მასაჟისტად არ ემსახურება მდიდარ და გავლენიან კლიენტებს.

ბოლოს და ბოლოს, თანამოქალაქებისადმი თანაგრძნობის გარდა არსებობენ ელემენტარული მორალი და ზნეობრივი პრინციპები, რომლის დაცვა უპირველესად ქვეყნის მეთაურს ევალება. მაგრამ, რომელ ზნეობაზე შეიძლება საუბარი იმ ხელისუფლებასთან, რომლებიც უდანაშაულო ხალხს ხოცავენ ქუჩებში, ყაჩაღურად ართმევენ ადამიანებს ბიზნესსა და ქონებას, პოლიციას უსევენ სამართლის საძიებლად და უზურპატორი პრეზიდენტის გადაყენების მოთხოვნით ქუჩაში გამოსულ ხალხს, ადამიანებს უნგრევენ სახლებს და ჰყრიან ქუჩაში, სამარცხვინოდ აგებენ მათ მიერვე პროვოცირებულ ომს, ბედის ანაბარად აგებენ უცხოელ სტუმარს და ლაჩრულად გარბიან სამადავში, ჭამენ საკუთარ პალსტუხს და ხელს აწერენ სხვა უამრავ სივლახეს...

ერთსულოვნება ერის ერთიანობას ნიშნავს, მაგრამ, რომელ ერთიანობაზე შეიძლება საუბარი იმ ქვეყანაში, სადაც მდიდარი ტრადიციების მქონე ქართველი ხალხი სულ სხვა მიმართულებით მიიწევს, ყოველივე ეროვნულისა და ტრადიციულის მოძულე და ევრო-ამერიკული სუროგატული ღირებულებების მოტრფილ ქართველ ხელისუფლება კი თავის ჭკუაზე, საპირისპირო მხარეს ექანება მას.

ერთსულოვნებამ მხოლოდ ერთხელ დაივიანა საქართველოს, როცა 1989 წლის 9 აპრილს საბჭოთა ჯარისკაცებმა მოხუცი ქალები და მცირეწლოვანი ქალიშვილები იმსხვერპლეს. მაშინ მართლაც ერთად დადგა ხალხი და ხელისუფლება. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს იყო და ეს, ჯერ საქართველოს ერთსულოვნებას ჯალათად მოველინა ედუარდ შევარდნაძე, რომელმაც საქართველოში ჩამოსვლის დღიდან მოაშთო ეროვნული მოძრაობა და ემბრიონალურ მდგომარეობაში მყოფი დემოკრატია, დანერგა **"გათიშე და იბატონეს"** საძრახისი სისტემა, მის მიერ ხელისუფლებაში მოყვანილმა მიხეილ სააკაშვილმა კი ხარისხობრივად ახალ სიმაღლეზე აიყვანა გათიშვით ხელისუფლების სტრატეგია და ისე გაათითოკაცოვა საქართველო, რომ მის მიერ დასმული სახელისუფლებო მაფია დაურიდებლად დათარეშობს საქართველოში და რასაც უნდა იმას აკეთებს.

ქართულ პოლიტიკურ ძალთა ერთსულოვნება დიდი რუსი მეიგავის კრილოვის იმ იგავს გვაგონებს, გედმა, კიბორჩხალამ და ქარიყლაპიამ საზიდარის წაყვანა განიზრახეს მაგრამ ადგილიდან ვერ დაძრეს, რადგან გედი ჰაერში ეწეოდა საზიდარს, კიბორჩხალა ნაპირისაკენ ექანებოდა, ქარიყლაპია კი წყალში შეთრევას ღამობდა.

ობიექტურად ქვეყნის ბედით დაინტერესებული პოლიტიკური ძალები ყოველთვის გამოძებნიან საერთო ენას, რადგან მათ ერთადერთი მიზანი გააჩნიათ – სამშობლოსა და მშობელი ხალხის სიძლიერე და კეთილდღეობა. მაგრამ, როცა ქვეყნის სათავეში მოსულ ძალებს მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისა და დიდი ფულის მოხვეჭის სურვილი ამოძრავებს, ბუნებრივია, იგი სხვა პოლიტიკურ ძალასთან ვერასოდეს გამოძებნის საერთო ენას, რადგან მისი გაერთიანება ნებისმიერ სუბიექტთან საკუთარი წილის შემცირებას ნიშნავს.

ამიტომ, ვერასოდეს გახდებიან ერთსულოვნები პოზიციისა და ოპოზიციის არც თუ ღირსეული წარმომადგენლები.

ერთსულოვნების ქვაკუთხედი მხოლოდ დიდი სიმართლე შეიძლება იყოს, რომლისგანაც ძალიან შორს დგას საქართველოს მმართველი პოლიტიკური ისტებლიშმენტი. სიცრუე იყო სააკაშვილისა და მისი გარემოცვის ყოფნა შევარდნაძის ოპოზიციისა, სიცრუე იყო 2008 წლის იანვრის საპრეზიდენტო არჩევნები, დიდი სიცრუეა საქართველოსადმი სააკაშვილის დამოკიდებულება, რაც კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს ხელისუფლების მიერ 2008 წლის აგვისტოში დაწყებული უაზრო ომი სამაჩაბლოს წინააღმდეგ, რამაც საქართველოს დამატებით დაუკარგა ტერიტორიები.

სად ერთსულოვნება და სად ამგვარი თვალთმაქცობა, რომელიც დიდის ხელოვნებით ჩაუნერგა ქართველ პოლიტიკოსთა მთელ წყებას ყველაზე დიდმა თვალთმაქცმა ედუარდ შევარდნაძემ.

ერთსულოვნების საფუძველი მოძმისა და თანამდგომის სიყვარულია, რომელიც დიდ შინაგან კულტურას და ეროვნულ თვითშეგნებას ეფუძნება. მაგრამ, ქართული ეროვნული შეგნებისადმი მოწიწება მხოლოდ ქართველ კაცს მოეთხოვება და არა ვიდაც გადამთივლს, რომელიც ყოველი ძალით ცდილობს თავისი წარმომავლობის მიჩქმალვას და ქართულ გვარ-სახელს ამოფარებული სნადის დიდ სიბოროტეს ქართველებისა და საქართველოს მიმართ.

ერთსულოვნება თანადგომას ნიშნავს. ჰოდა, რომელ ერთსულოვნებაზე შეიძლება იყოს საუბარი იმ ქვეყანაში, სადაც ხალხი სრულ დაუმორჩილებლობას გამოუცხადებს ხელისუფლებას და მის გასარეკად უკიდურეს ზომებს მიმართავს. სადაც მართლაც სატანასთან წილნაყარი ტელეკომპანია **"რუსთავი-2"** ლამის ქვეყნის მოღალატეებად აცხადებს იმ ავტორიტეტულ პიროვნებებსა და ჭეშმარიტ მამულიშვილებს, რომელთაც საკმაოდ მწვავე შინაარსის მქონე წერილი მისწერეს რუსეთის პრეზიდენტს დიმიტრი მედვედევს იმის შესხენებით,

რომ არ შეიძლება ხაზი გადაესვას საქართველოსა და რუსეთის მრავალსაუკუნოვან ურთიერთობებს და ეს ორი სახელმწიფო ერთმანეთისადმი მტრულ პოზიციასში ჩადგეს. ამ მოვლენისათვის ბრალდების იერის მისაცემად და რეალური ფაქტების შესაცვლელად ტელეარხი **"რუსთავი-2"** არ მოერიდა ისეთ სიბინძურეს, როგორცაა აღნიშნული წერილის ტექსტის შერყვნა.

მხოლოდ შური და უძლეურება აღაპარაკებს ამ ტელეარხს და მის მოძალადე პატრონს – საქართველოს ხელისუფლებას, რადგან იციან, რომ მათ მიმართვას რუსეთის პრეზიდენტის მიმართ პასუხის გაცემის დროსად არავინ ჩათვლის!

რადგან, საერთაშორისო დონის დამნაშავე საქართველოს პრეზიდენტსა და მის დანაშაულებრივ გარემოცვას, არაადექვატური საქციელის გამო, რუსეთის ხელისუფლება (და არა მხოლოდ რუსეთის ხელისუფლება) პოლიტიკურ გვამებად მიიჩნევს!

ერთსულოვნება ხომ ღვთიებობებულის ნიჭია!

**"სატანა თიშავს, ღმერთი კი აერთიანებს!"** – ღაღადებს მართლმადიდებლური რელიგიური ჭეშმარიტება.

სწორედ სატანურად ეცადა **"რუსთავი-2"** ქართველი ერის გათიშვას, როცა ასევე დაამახინჯა საქართველოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის მიმართვა ქართული საზოგადოებისადმი და იგი სიცრუით გაჯერებული საკუთარი ინტერპრეტაციით გააუღერა.

განა სატანა სხვა რამეს აკეთებს? და სულ ტყუილად გაისარჯა ამ ტელეარხის ერთ-ერთი დაგრეხილი საყვირი, მართლაც ადამიანის სახედაკარგული და მასხარის ნიღაბმორგებული **"მაჟორდომი"** დავით კიკაღიშვილი, როცა მისი კოლეგა გიორგი კეპულაძე 2008 წლის 11 აპრილს ტელეობიექტივის წინ ატრიალა და გახარებულმა აუწყა ტელემაყურებლებს, რომ სატანები არა ვყოფილვართ, რადგან გიორგი კეპულაძეს არც რქები აქვს და არც კუდიო. შეიძლება კეპულაძეს კუდი და რქები არ ემჩნევა, რადგან იგი მომცრო **"სატანუკაა"** და ჯერ კიდევ არ მისულა სატანურ კონდიციამდე, მაგრამ კიკაღიშვილს არ ვურჩევთ, რომ იგივე მანიპულაცია ჩაუტაროს **"რუსთავი-2"**-ის მფლობელებს, რადგან მათი გვამების ფონზე კულებიც მოძალადეებად გამოჩნდება და რქებიც, რაც შეეხება თავად დავით კიკაღიშვილს, თუ პირადად მას არ მოსდგამს სამამულე რქა და საგვარეულოც არ შემოსწერება, ის მაინც ნუ დაავიწყდება, რომ ციციშვილების სიძეა და მისი ნებისმიერი არაქართული საქციელი ამ ბრწყინვალე თავადური გვარის შეურაცხყოფაა.

მართლაც, სხვას რას უნდა მოელოდეს იმ ტელეარხისაგან, რომელმაც ყრუდ ჩაუკეტა ეთერი საქართველოს სამეცნიერო თუ შემოქმედებით ინტელიგენციის ღირსეულ წარმომადგენლებს, ტელეეთერს ხშირად მეძავესა და პომოსექსუალებს უთმობს და მხოლოდ მათი პოპულარიზებით არის დაკავებული.

ამიტომ, ვიდრე საქართველოში თავის ბოროტ ნებაზე ბოგინობენ **"ნაციონალები"**, მათი თავკაცი მიხეილ სააკაშვილი და მოძალადე ხელისუფლების სხვა ამფსონი ტელეარხები, ერის ერთსულოვნებაზე საუბარიც კი ზედმეტია!

## პრეზიდენტს ვურჩევ არ ღაივიწყოს ლოგოტიპი "კადრები წყვეტენ ყველაფერს".

რეპოლუსია თუ რეჟიმის შეცვლა

(ვიწყებთ აკადემიკოს გიორგი (გონი) ცაბავას წერილების ციკლის გამოქვეყნებას, რომელიც აშუქებს ქვეყანაში არსებულ პრობლემებს და გვთავაზობს მათი აღმოფხვრის გზებს)

დღეს თამამად შეიძლება ვთქვათ, შედეგის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოში რევოლუსია არ მომხდარა. გარდა იმისა, რომ შევარდნაძის რეჟიმში შეიცვალა სააკაშვილის რეჟიმით (უარესი ფორმით).

აქვს ბრძენ ებრაელ ხალხს წყველა: "შენი არ გცოდნოდეს და არც სხვისი შეგესმინოსო". ეს სიტყვები მიხეილ სააკაშვილზე ნათქვამი, რადგან მასმედიის, ცალკეული კორესპონდენტების, ამომრჩევლების კრიტიკულ წერილებში გამოთქმული მოსაზრებები, შენიშვნები, წინადადებები რომ მოესმინა ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობაზე, ქურნალისგებთან შეხვედრაზე "ყიყინა" არ მონათლავს, ქვეყანას უკიდურეს მდგომარეობამდე არ მიიყვანდა. არადა საქართველოს თავისი არსებობის მანძილზე უნახავს და განუცდა ყველაფერი – ქვეყანა მორწყული ქართველთა სისხლით და მოკირწყლული მოყვარეთა ძვლებით, ომი და მშვიდობა, ცეცხლი და მიწისძვრა, თავდასხმები და გყვეობა, მონღოლთა ხანგრძლივი ბაგონობა, მაგრამ იმ მდგომარეობაში არ ყოფილა, როგორც სააკაშვილმა და მისმა გარემოცვამ ჩააყენა.

მე რამდენიმე წელი მოვანდომე ხელისუფლების მცდარი, არასწორი საშინაო და საგარეო პოლიტიკის კრიტიკას და დღესაც ვაგრძელებ. ადრევე შევნიშნე სააკაშვილისა და "ვარდების რევოლუსიის" ხელისუფლების პოტენციური შესაძლებლობები, რომ სააკაშვილი კვბ-ს ჯარების ლეიგენანგის ღონებზე იყო დარჩენილი, რადგან პოსტრევოლუციური ახალი წელი გრადიციულად სულ რამდენიმე დღის წინ არჩეული პრეზიდენტისათვის განსაკუთრებული დღე იყო. მომავლის პერსპექტივები უნდა დაეხასხა ქვეყნისათვის, მაგრამ მოხდა სრულიად მოულოდნელი – სააკაშვილმა ახალი წელი საქართველოს კარპაგებიდან, თხილამურებზე ამხედრებულმა მიულოცა.

რევოლუსიის რადიკალური სოციალური ძვრები, ახალი სამოგადობრივი ურთიერთობა, ახალი ეკონომიკური და პოლიტიკური კურსი უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ ქვეყანამ ძველებური ამორფული ფორმა შეინარჩუნა. იგი მკვდრადმოთბილი გამოდგა, რადგან რევოლუსიის მესვეურებს, არც მიზანი დაუსახავთ, არც ეროვნული იდეების შემცველი რაიმე იდეოლოგია, არავითარი ეკონომიკური მოდელი. ეს კი იმაზე მეტყველებდა, რომ "ნაციონალები" თავისი არსით ეროვნულები არ იყვნენ, რადგან ისინი გარე ძალებისაგან იმართდნენ.

საკაშვილის მმართველობის პერიოდში საქართველო კიდევ უფრო რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ქართველი ერის სულიერების რღვევის პროცესი, რომელიც შევარდნაძის დროს დაიწყო, ინტენსიურად გრძელდება. ეკონომიკური რღვევის პროცესით კი ისარგებლა ე.წ. პრეზიდენტის კასტამ და ხალხის მიერ შექმნილი ქონება დაიგაცა. ხელისუფლებამ ნდობა დაკარგა – მისი წარმომადგენლები გ. კირკიტაძე-გ. თარგამაძე, მ. მაჭავარიანი, გ. ბოკერია, გ. უგულავა, კ. კუბლაშვილი და სხვები ქართველი ხალხისაგან გაირიყვნენ აზრთა სხვადასხვაობის გამო. ამ უკანასკნელთა მიზანია ქონების მოხვეჭა საკუთარი პოზიციების განსამტკიცებლად და ხელისუფლების შესანარჩუნებლად.

მე ვურჩევდი საქართველოს, როგორც

უძველესი კულტურის მქონე ქვეყნის პრეზიდენტს მეგ სიღარბაისლეს, ურამების შერჩევას, მოქმედების გააზრებულობას, ემოციების მოთოკვას, სოციალური და ეკონომიკური პრობლემებით გაწამებული თანამოქალაქეებისადმი მეგ თანადგომას. სააკაშვილს რომ ქართველი ხალხის ბული არ აწუხებს, ეს 7 აგვისტოს საომარი მოვლენების დღეებში გამოჩნდა. მთავრობა გაერიდა ქვეყანაში შექმნილ ექსტრემალურ სიტუაციას, ხელისუფლებას დღესაც არ გააჩნია ამ ომის მსხვერპლთა მუსტი აღრიცხვა, არაფერ იცის, რამდენი ადამიანი შეეწირა ამ უამბო ომს, 25 მებრძოლი უგზო-უკვლოდა დაკარგული, მნიშვნელოვნად გაიზარდა ლგოლეილთა რიცხვი, ამ დროს კი ხელისუფლების წარმომადგენლები სხვადასხვა პრესტიჟულ კურორტებზე ისვენებდნენ. პაერში ეკიდება პრეზიდენტის მოწოდება "ქამრის მოჭერის" თაობაზე. თუ ქამრის მოჭერა და საბიუჯეტო ხარჯების შეკვეცაა საჭირო, მაშინ რით უნდა აეხსნათ სახელმწიფოს ხარჯზე ბებიების, ბაბუების, სიმამრებისა და სხვა ნათესავების გასართობად გარება?

ქვეყნის ბელზე მზრუნველი პრეზიდენტი მოიქცეოდა ისე, როგორც ალექსანდრე მაკედონელი მოიქცა. უღაბნოში წყალი რომ მოსწყურდა, მხლებლებმა მათარიო წყალი მიართვეს, რომელიც მან გადაღვარა შემდეგი სიტყვებით: როცა ჯარს წყალი წყურია, მე როგორ დავღვევო. მეორე მსოფლიო ომის დროს ინგლისის მეფის სასახლის ბუხრიდან კვამლი არ ამოდიოდა. როდესაც მთელი ინგლისი გაყინულია,

ტიკის პიპერგროფიულ შეფასებაში. პრეზიდენტისადმი მათამებლობით გამოირჩევიან კუბლაშვილი, წიკლაური, ხერხეულიძე და სხვები, რამაც ძალიან საშიში ხასიათი მიიღო. უმრავლესობის წარმომადგენლები სშირად თავს არიდებენ ქურნალისგებთან და ხალხთან შეხვედრას, რადგან ამგვარი სიახლოვე გამოააშკარავებს მათ გონიერულ სისუსტეს. როცა ერთხელ უმრავლესობის წევრ პარლამენტარს შეკითხვა დაუსვეს იმის თაობაზე, რომ რამდენად ეთიკურია, რომ ცოცხალი გასაჭირის ქამს სააკაშვილი გერმანიაში საკუთარ თვითმფრინავს აგზავნის სკანდალურად პოპულარული მასაჟისტი ქალის ჩამოსაყვანად, მან უპასუხა – მე მეგონა ეკონომიკურ კრიზისზე იქნებოდა საუბარიო. შეიძლება ასეთ პარლამენტარს პასუხი მოსთხოვო?

პარლამენტის გერიტორიული მთლიანობის აღდგენის კომისიის თავმჯდომარე შოთა მთლამაშია კბილებით იცავს სააკაშვილის ხელისუფლებას. მინდა ვკითხო მას, რა გააკეთა პარლამენტში ამ თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში, გარდა დიდი ჯამაგირის მიღებისა. კონფლიქტების მოგვარების საკითხი ხომ დღითიდღე უარესდება და უკვე საბოლოოდ შევიდა ჩიხში.

რაც შეეხება პარლამენტის თავმჯდომარეს, იგი მხოლოდ რიგორიკით კმაყოფილდება, მაგრამ არ ითვალისწინებს, რომ სიტყვას აზრთა სიუხვე უნდა სჭარბობდეს. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია მოვიყვანოთ მისი მოწოდება ხალხისადმი



ბრძალ მორჩილ მინისტრებს ერთი მინისტრიც მიემატა ქვანიას სახით. ეკონომიკის მინისტრის მიმართ ხალხს მეტი პრეტენზიები აქვს და სააკაშვილის მანებლური საშინაო პოლიტიკის მხარდაჭერა ერის დაღაბის ცოლფასია.

ქვეყნის სიძლიერე ბევრად არის დამოკიდებული სამართალდამცავი ორგანოების ობიექტურ, უმწიკვლო და გამართულ მუშაობაზე. დღეს საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები მიხეილ სააკაშვილის დაკვეთას ასრულებენ და მხოლოდ არსებული ხელისუფლების შესანარჩუნებლად იღვწიან. ისინი ინტრიგებისა და ინსინუაციების ქსელს ბლანდავენ ღირსეულ ადამიანთა წინააღმდეგ, მოგს სამშობლოს მოღალატედ, მოგს რუსეთის აგენტად აცხადებენ და ძირითად მოვალეობას არ ასრულებენ. სამართალდამცავი ორგანოების დანაშაულებრივ საქმიანობაზე სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს პარლამენტს 600-გვერდიანი მოხსენება წარუდგინა.

საქართველოს ხელისუფლებას ხელს არ აძლევს სამართალდამცავი ორგანოების გაძლიერება პროფესიული კადრებით. მას ასევე უმაღლესი რანგის მოხელეების მიერ ჩადენილი გახმაურებული დანაშაულის, კორუფციის, არჩევნების გაყალბების, ანგარებითი პრივატიზაციის, გზების მშენებლობაში გაფლანგული თანხების ფაქტების გახმაურება არ სურს. ეს გახლავთ დანაშაულობათა უმრავლესობა ჯაჭვი. არა და, საქართველოს ჰყავდა გამოჩენილი პროფესიონალი იურისტები: ვია მეფარიშვილი, ვაჟა აბაკელია, თელო ნინიძე და სხვები. ისინი იყვნენ პრინციპული სპეციალისტები და არასოდეს ცეკვავდნენ პრეზიდენტის დაკრულზე. მათთვის მთავარი იყო სახელმწიფოს პრინციპების დაცვა და კანონების განუხრულად შესრულება. ამიგომაც მოწიწებით მოიხსენიებს დღეს ხალხი მათ სახელებს. და თუ საქართველოს ხელისუფლებას სურს ქვეყანაში კანონიერების დამყარება, მან აუცილებლად უნდა გამოიყენოს ამ ადამიანების ცოდნა და გამოცდილება, როგორც ეს გააკეთა აშშ-ს ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ.

გიორგი (გონი) ცაბავა, საქ. ეროვნული და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის ნამდვილი წევრი – აკადემიკოსი.

**ქვეყნის ბელზე მზრუნველი პრეზიდენტი მოიქცეოდა ისე, როგორც ალექსანდრე მაკედონელი მოიქცა. უღაბნოში წყალი რომ მოსწყურდა, მხლებლებმა მათარიო წყალი მიართვეს, რომელიც მან გადაღვარა შემდეგი სიტყვებით: როცა ჯარს წყალი წყურია, მე როგორ დავღვევო. მეორე მსოფლიო ომის დროს ინგლისის მეფის სასახლის ბუხრიდან კვამლი არ ამოდიოდა. როდესაც მთელი ინგლისი გაყინულია,**

ჩვენ როგორ უნდა გავთბეთო.

დიდი შეცდომა იყო სააკაშვილის ხელისუფლების მხრიდან გამოცდილ სპეციალისტთა სამსახურიდან მასობრივად დათხოვნა მათი ხანდაზმულობის კომიზმებით. ამ კატეგორიის ხალხს "ნაციონალები" წარსულის გადმონათლად მოიხსენიებენ.

საკაშვილმა უგულვებელყო პოეტიკური ვახტანგ მეექვსის სამართლის კოდექსის შეგონება, რომლის შესავალში წერია, რომ "თანაყოლითა, დამოწმებითა, ბრძენთა ჭკუათა მყოფელთა და მოხუცთა კაცთათა". ალბათ მკითხველი დამეთანხმება – გამოცდილი, გონიერი, გამჭრიახი, ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე მოხუცის რჩევას სხვა წონა აქვს. მათ კი ქვეყნის მართვა ჩააბარეს თვითმფრინავში გაცნობილ ყმაწვილებსა და გამოუცდელ გოგონებს.

საკაშვილსა და მის გარემოცვას შეიძლება წაკითხული არა აქვთ ემოპეობარბიუსი ან ლაფონტენი, მაგრამ სულხან საბა, ან კრილოვი მაინც უნდა წაკითხათ სკოლაში. განა კადრებთან არასწორი მუშაობის შედეგი არ გახლავთ 7 აგვისტოს მოვლენების სამარცხენო დასასრული. როგორ შეიძლება სააკაშვილი ვერ ამჩნევდეს მისი თანაგუნდელების გონიერულ და მორალურ სიმწირეს. მარტო ცოდნა ბევრს არაფერს ნიშნავს – გამოცდილებაა საჭირო. უკანასკნელ პერიოდში, საქართველოს პარლამენტი, რომელსაც დავით ბაქრაძე სპიკერობს, თითლიბაზური პაქტობის არენად იქცა. აქ ერთმანეთს ეჯიბრებიან პრეზიდენტის "ბრძნული" საშინაო და საგარეო პოლი-

– აიღეთ ტაფები, ცოცხები და აქანდაზები და მგრის ჯარს ეომეთო, შემდეგ კი განცხადება – სასტიკად დამარცხებული ქვეყანა გამარჯვებულიაო!

რაც სააკაშვილი მოვიდა ხელისუფლებაში, საქართველოს სოფლის მეურნეობის პროფესიონალი მინისტრი არ ღირსებია, მაშინ, როდესაც საქართველო უძველეს დროიდან გამოირჩეოდა მიწათმოქმედების უაღრესად განვითარებული ღონით. ამის გამოა დღეს დეგრადირებული საქართველოს სოფლის მეურნეობა.

სამოგადოება დიდ იმედებს ამყარებდა ეკონომიკის ახლადდანიშნულ მინისტრზე ქვანიამზე. თუ მისი საგლევიზიო გამოსვლით ვიმსჯელებთ, ყველაზე საშიში გზა აქვს არჩეული, რადგან ძველი ინერციით მოძრავ, მოქმედ და მოაზროვნე მინისტრად წარმოგვიდგა, რომელიც აპირებს მხოლოდ ძველი, აგალახებული გზით სიარულს, რომელსაც ქვეყნისათვის უბედურების მეტი არაფერი მოუტანია. სამწუხაროა, რომ სააკაშვილის უსიგყვოდ,

**პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კომისიის თავმჯდომარე შოთა მთლამაშია კბილებით იცავს სააკაშვილის ხელისუფლებას. მინდა ვკითხო მას, რა გააკეთა პარლამენტში ამ თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში, გარდა დიდი ჯამაგირის მიღებისა. კონფლიქტების მოგვარების საკითხი ხომ დღითიდღე უარესდება და უკვე საბოლოოდ შევიდა ჩიხში.**

# სამეგრელო 1990-1992 წლებში



გონა ჯიქიას მკვლევლობამ საშინელი თავზარი დასცა ისედაც გამწარებულ ზუგდიდის მოსახლეობას, საბოლოოდ გამოაშკარავდა მთავრობის განზრახვა:

სამეგრელოში არაფერია ჩამოდიოდა „წესრიგის დასამყარებლად“, ეს მხოლოდ სასტიკი სადამსჯელო ლაშქრობები იყო, რომლებიც ხალხის დაშინება-დაშინებას ისახავდა მიზნად.

ყველასათვის ცხადი ხდებოდა, შვილმკვდარი და კერძაოხრებული სამეგრელო სამშობლოს გადასცემებული სიყვარულის გამო ისჯებოდა და იგი ამას უნდა შეგუებოდა, თორემ მისთვის კიდევ უფრო უარესი რამ იყო გამზადებული.

მოგვიანებით, ცნობილმა პოეტმა ვახტანგ ხარჩილაძემ, ერთ პატარა მეგრულ-ქართულ ლექსში, თავზარდამცემი სიზუსტით აღწერა სამეგრელოს მდგომარეობა საერთო ქართულ ოჯახში:

### ართი ხატი

ართი ხატი, ართი ღორღონი,  
ართი ოდიში, ართი ქართი,  
გიერთგულე მე ბოლომდე,  
შენ კი მაინც არ გიყვარდი.

ართი ვარდი განკოპწილი,  
მუს მოხვარუ ართი ვარდი.  
დარდი ვზიდე შენი წილი,  
შენ კი მაინც არ გიყვარდი.

ჩქიმი ნინა ჩქიმი ნანა,  
თირიში დო ჭვიმაში დართი...  
მე მიყვარდა ეს ქვეყანა,  
მას არასდროს არ ვუყვარდი.

ცხადი გახდა, რომ გონა ჯიქიას სისხლი სამეგრელოს სდიოდა და ასე იოლად დასაშრობი და მოსანელებელი არ იყო იგი. მიუხედავად ამისა, მთავრობა-ჯალათს არც უფიქრია უკან დახევა და პირიქით, უფრო დიდი და დაუნდობელი ძალის დაპირისპირება განიზრახა უიარაღო, ქართულ ეროვნულ უბედურებაზე მგლოვიარე სამეგრელოს წინააღმდეგ.

ასე შეიქმნა და თბილისიდან სამეგრელოსკენ გამოიგზავნა მორიგი 48 კაციანი ჯგუფი ყარყარაშვილ-ქუთათელაძის მეთაურობით. გვემატე მარტივი და მოხერხებული პქონდათ შემუშავებული, რომლის თანახმადც სამხედრო ვერტმფრენი მოულოდნელად, დამე უნდა დაშვებულიყო ზუგდიდის სტადიონზე და სწრაფად მოესდინა ქალაქის მნიშვნელოვანი ობიექტების დაკავება, რასაც ადგილობრივი პოლიციის მხარდაჭერა მოჰყვებოდა, რაც სერიოზული ძალა იქნებოდა ადგილობრივი, „დაუმორჩილებლობის“ დასაძლევად.

როგორც იტყვიან, არც მასპინძლებს ეძინათ საღათას ძილი და სტუმრის დასახვედრად ისინიც ემზადებოდნენ, მაგრამ ხუთიღამე, სკოლის სამხედრო კაზინეტებიდან გამოტანილი სას-

წავლო ავტომატით რომ სამთავრობო - 48 კაციანი, კბილებამდე შეიარაღებულ „რემბოებთან“ ვერაფერს გახდებოდნენ, ეს ყველამ იცოდა!..

ყველაფერი ეს, დაახლოებით, 1989 წლის 9 აპრილის დამეს, ტანკების ხელკეტებით მოგერიების მცდელობას უფრო ჰგავდა, ვიდრე ჯალათი-მომხვედურის განადგურებლად სამზადისს.

სწორედ ამ დროს უშუხთლა საკომუნიკაციო ტექნიკამ დედაქალაქიდან სამეგრელოსკენ ვერტმფრენით მომავალი და პაერში მყოფების მიმართვა: „მოუდივართ და დაგვხვდითო!“ (არავინ იფიქროს, ყველა უკეთურებას, რაც სამეგრელოში ხდებოდა გარედან მოსულთ ვაბრალდებდით!.. იქაც ბლომად იყვნენ საშოვარს გადაგებული ნაძირალები და ცხადია მათ თავიანთ თბილისელ „კოლეგებთან“ პქონდათ კავშირი), „მტრის“ ხელში აღმოჩნდა. ბუნებრივია, ამას ხელიდან არავინ გაუშვებდა და რაც შემდეგ მოხდა, დაღაგებული ლოგიკის შედეგი იყო:

ქალაქის სტადიონზე ვერტმფრენით დაშვება, ისიც დამით, გაუნათებელი ქალაქის პირობებში გაუმართლებელია, სიტუაციას ვერ გაგაკონტროლებთ, ჯობია ისეთ ადგილზე დაეშვათ, სადაც არავინ მოგელოთო!..“

ასეთად რუხის ტერიტორია იქნა შეთავაზებული და ვერტმფრენიც იქ დაეშვა.

ეს ადგილი სასწრაფოდ იქნა მომზადებული სტუმრების დასახვედრად და მიწაზე დაშვებისთანავე ვერტმფრენს ოთხივე მხრიდან ოთხი წყლით სავსე ბენზინშიდი მიადგა და წყლის (ბენზინი საერთოდ არ იშოვებოდა იმ დროს სამეგრელოში) მძლავრი ჭავლი დაეშინა. ამ უწყველო აქციას ვერტმფრენში მყოფებთან რაციით კავშირი და მკაცრი გაფრთხილება მოჰყვა:

– ვერტმფრენი და სტადიონი ბენზინითაა გაუქვნილი, სიგარეტი ჩააქრეთ, სანთებელი და ყოველგვარი რეინის ნივთი, რასაც კი ნაპერწკლის გამოწვევა შეუძლია, ადგილზეზე დატოვეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში პაერში გავისტუმრებთო!..“

აქვე მინდა გავისენო 1993 წლის აგვისტოში, სულცხონებულ ჯგუფად ქობალასთან ჩაწერილი საუბარი:

„თავიდან გაგვიძალიანდნენ, თვითმფრინავში მძევლები გვყავს და დავხოცავთო, მაგრამ, როგორც კი ნახეს სახუმაროდ და სავაჭროდ აქ არავის ეცალა, სულ რამდენიმე წუთი დასტირდათ მოფიქრებისთვის. ასე გამოლაგდა მომძეთა ასაოხრებლად ჩამოსული 48 ტყვე ქართველი ვერტმფრენიდან და პირველი 48 ავტომატიც ასე განდა „დაუმორჩილებლობის“ ძალების ხელში.“

წარმოუდგენელი სურათის წინ დავდექით. ვინ იფიქრებდა ესენი ასე მარტივად თუ გაემბებოდნენ საკუთარ მახეში... ამჯერად, იმაზე კი არ იყო საუბარი ვინ ვის აჯობებდა, არამედ იმაზე, თუ როგორ გვეხსნა გამწარებული მოსახლეობის საშინელი სამსჯავროსგან, საკუთარი ხალხის ასაოხრებლად ჩამოსული 48 უჯიშო...“

დიდი ფიქრის დროც არ გვექონდა და ამიტომ იქვე გადავწყვიტეთ ორმოცდაექვსი მათგანი მილიციისთვის ჩავგვებარე-

ბინა, რომ მათი უსაფრთხოება დაცვათ. ისინი შედარებით უდანაშაულოდ მივინჩიეთ, რადგან სხვებმა აცდუნეს და სხვის ბრძანებას ასრულებდნენ...“

ყველაფერი ეს სწრაფად უნდა მომხდარიყო, ვიდრე მოსახლეობა გაიღვიძებდა და ამ ამბავს გაიგებდა. ასე ჩავაბარეთ ორმოცი უფალს განდგომილი, მილიციის სამმართველოს და იქვე, დამატებით ჩვენი დაცვაც დაეყენეთ, რომელიც მათივე ჩამორთმეული იარაღით შევადარადეთ.

საქმე ამით არ დამთავრებულა, ყველაზე დიდი პრობლემა მათი ხელმძღვანელების გია ყარყარაშვილის და ბესო ქუთათელაძის უსაფრთხო ადგილას განთავსება აღმოჩნდა, რადგან მათი ზუგდიდში ჩამოსვლის და ტყვედ აყვანის ამბავი ჩვენ კი დაგვმალეთ, მაგრამ თუ იგი თბილისამდე ჩააღწევდა საქმე დაღუპული იყო. დარწმუნებული ვიყავით, თბილისში შეეცდებოდნენ ზუგდიდში სიტუაცია მაქსიმალურად დაეძაბათ და ეს შემთხვევა ტრაგიკულად დამთავრებულყო.

ჩვენ კარგად ვიცოდით, თბილისის მთავრობისთვის, ყარყარაშვილი და ქუთათელაძე მისი 46 ყანალით ისევე უფასური იყო, როგორც მაშინ საქართველოს მტრად გამოცხადებული სამეგრელო და მეგრელები. ამიტომაც ჩავაბარეთ ისინი მილიციის სამმართველოს, პასუხისმგებლობაც მათ დავაკისრეთ და დამატებით ჩვენი დაცვაც დაეყენეთ, რომ ტყვეებისთვის რაიმე პროვოკაცია არ მოეწყოთ და მერე „დაუმორჩილებლობის“ ძალებისთვის არ დაებრალდებინათ იგი.

დიად რჩებოდა ყარყარაშვილ-ქუთათელაძის უსაფრთხოების საკითხი. ამ დროს ყველასგან მოულოდნელად გია მესხიამ (მეტსახელად „კონგი“) გამოაოხრებული წინადადება წამოაყენა:

„მოდით, ესენი გონა ჯიქიას დედას მივუყვანოთ, იქ არავის მოუვა აზრად მათი მოძიება და ვიდრე სამშვიდობოს გავიყვანდეთ უსაფრთხოდ იქნებიანო!“

ეს მართლაც ასე იქნებოდა, მაგრამ როგორ უნდა გავგეცხადებინა გონას დედასთვის შენი შვილის მკვლელები მოგვეყავს სტუმრად და ისინი შეგვიჩახოქო?!“

როგორც ზემოთ ვთქვი, ბევრი ფიქრის დრო არ იყო, საცაა გათენდებოდა და ხალხი თუ გაიგებდა წუხანდელ ამბავს, მაშინ საქმე გართულდებოდა... ისევე გონა ჯიქიას დედის, ქალბატონ თამარ შერაზადაშვილის დიდ აღამიანობას ვენდეთ და ასე მივადექით გამოთენისას მის ბინის კარებს დაუპატივებულ სტუმრებთან ერთად... ოთხნი ვიყავით – გონა ოთხოზორია, გია მესხია, რეზო ჯიქია და მე. სულ ორი დღის დასაფლავებული იყო სულგანათლებული გონა და შვილის მკვლელები შვილმოკლულ დედას მივუყვანეთ სახლში. ამის გასხენებაც კი შემზარავია...“

გვიან ვისხენებდით – თურმე, იმ მომენტში, სამივეს გონას გასვენების დღეზე, დედამისის მოთქმა და უფლისადმი ვედრება ჩავგვესმოდა ყურში: „დამერთო, ჩემი შვილი ჰყავ უკანასკნელი მსხვერპლი ამ მძათამკვლელ ომშიო!..“

ახლა მთავარი იყო არავის გავგო მათი ადგილ-სამყოფელის შესახებ და ვინმეს პროვოკაცია

არ მოეწყო მათთვის. ბატონი ვალტერ შურდია (მაშინდელი „დაუმორჩილებლობის კომიტეტის“ თავმჯდომარე) ისხენებს:

„ჩვენ, ადგილობრივ მოსახლეობაზე უფრო საქართველოს კრიმინალური მთავრობის შემოგზავნილთა პროვოკაციების გვეშინოდა. მაშინდელი მთავრობისთვის აღამიანის სიცოცხლეს არანაირი ფასი არ ჰქონდა და თუ საშუალება მიეცემოდა ყარყარაშვილ-ქუთათელაძის გაწირვას აუცილებლად შეეცდებოდნენ, რაც მათ კიდევ ერთ შესაძლებლობას მისცემდა სამეგრელოს ასაოხრებლად. ამიტომ მათ ხშირად ვუცვლიდით ადგილ-სამყოფელს.“

ჩვენი მიზანი იყო ტყვეები კრიმინალური მთავრობაზე ზემოქმედებისათვის გამოგვეყენებინა და არავის მოსვლია აზრად მათ მიერ ჩადენილ დანაშაულზე სამაგიეროს გადახდა.

... ისე, არ შემძლია არ ვახსენო, მე არასოდეს მინახავს მსგავსად შეშინებული აღამიანები ვიდრე ყარყარაშვილ-ქუთათელაძე იყო. დარწმუნებული ვარ, მათ თვალწინ ედგათ 1992 წლის 5 იანვრის დილას ძველ თბილისში პურის მოედანზე და 6 იანვარს ქანდაში, ავტობუსებში ჩახოცრილი, დამხობილი ეროვნული მთავრობის მომხრე უიარაღო ახალგაზრდობა, რაც აფიქრებინებდათ - ჩვენც იგივეს გვიზამენო!..“

ამის გამო ხშირად გვიწევდა მათთვის შეგვეხსენებინა, რომ ისინი სამეგრელოში, თავიანთ სამშობლოში იმყოფებიან და ეს საშიშროება არ მოელოთ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი აქ მის ასაოხრებლად ჩამოვიდნენ.“

მეორე დღესვე დაიწყო თბილისის ტელევიზიამ ჭორ-მართლის აგორება. კიდევ ერთხელ მიეცათ სამეგრელოს ლანძღვის საშუალება. რას არ მოისმენდით მაშინ, რას არ ყვებოდნენ თბილისიდან ჩამოსულთა დატყვევების შესახებ, განსაკუთრებით ყარყარაშვილ-ქუთათელაძეზე რა სიბინძურეს არ იგონებდნენ!..“

ამ დროს, უშუქოდ და გათბობის გარეშე დარჩენილ ზუგდიდში, ერთ პატარა ბინაში, შეიღზე მგლოვიარე დედა, რომ იტყვიან „ჩიტის რქეს არ აკლებდა საკუთარი შეილის მკვლელებს“. ყოველ საღამოს თბილი წყლით ფეხებს ბანდა და საიდუმლოდ ინახავდა, რომ არავის გაეგო მათი ზუგდიდში ყოფნა და ხიფათში არ ჩაეგდო მიზარებულები.

ტყვეებს ჩაბნელებული ოთახიდან გასვლა, ფანჯარაში გახედვა და ხმაძალა საუბარი ეკრძალებოდათ მათივე უსაფრთხოების გამო. მხოლოდ დამე აკითხავდნენ მათ „დაუმორჩილებლობის კომიტეტიდან“. ერთხელაც საშინლად აფორიაქებული დახვდათ ყარყარაშვილ-ქუთათელაძე, რომელთაც პირდაპირ უღტიმბებუმი წაუყენეს მასპინძლებს:

„ან ამ ბინიდან გავიყვანეთ, ანდა დაგვხოცვთ ახლავეო!“

მოგვიანებით გაირკვა მათი აფორიაქების მიზეზი. თურმე, იმ დღეს ბესო ქუთათელაძე ჩაბნელებული ბინის მეორე ოთახში გასულა, საიდანაც მბჟუტავი სანთლის შუქი შეუნიშნავს. სამეგრელოში წესად აქვთ, მგლოვიარე ოჯახში ორმოცამდე მიცვალებულის ტანსაცმელს და სუ-

რათს ასვენებენ ტახტზე, რომელსაც „ნიშანს“ ეძახიან. იქვე კანდელი ანთია მუდმივად. სწორედ ეს შეუნიშნავს ქუთათელაძეს. თურმე ცნობისმოყვარეობამ სძლია და ახლოს რომ მივიდა, ხელში წინა ლაშქრობისას მისევე თანაგვარდელის მიერ მოკლული გონა ჯიქიას სურათი შეჩრა.

ჰოი, საოცრება! ის, შავებით მოხილი ქალი, დღე და დამე თავს რომ ევლებდა და თბილი წყლით ფეხებს ბანს, მათ მიერ მოკლული გონა ჯიქიას დედა ყოფილა!

გონას მოვიდა თუ არა გიას უხმო თურმე, ყარყარაშვილს – ერთი შეხედვით და სურათისკენ ანიშნა!..“

გონა ჯიქიას დედა არ ჰგავდა 12 აგვისტოს, რესპუბლიკის მოედანზე, დავით აღმაშენებლის ძეგლის წინ მომტიტნე „თბილისის ინტელიგენციის“ არცერთ წარმომადგენელს, რომელიც დაელოებით ითხოვდნენ საქართველოს მთავრობისგან „მტრის საკუთარ ბუნაგში განადგურებას“ და სადამსჯელო ლაშქრის სამეგრელოში გაგზავნას, რომელსაც ორი „მხედართმთავარი“ ყარყარაშვილ-ქუთათელაძე ედგა სათავეში.

ამასობაში, ნელ-ნელა ისიც გაირკვა, რომ საქართველოს კრიმინალური მთავრობას ნაკლებად ადარდებდა ზუგდიდში ტყვედაყვანილთა ბედი, ისინი მხოლოდ ახალი სადამსჯელო დონისძიებების მიზეზისთვის იყვნენ საჭირო, არც ზუგდიდში აპირებდა ვინმე მათ სამუდამოდ დატოვებას და მათი გათავისუფლების დროც დადგა. ცხადია, ეს აქცია გარკვეული მორიგების საფუძველზე უნდა მომხდარიყო და ასეც მოხდა:

ყარყარაშვილ-ქუთათელაძე პირობას სდებენ „დაუმორჩილებლობის კომიტეტის“ წევრობა წინაშე, რომ ისინი, ამერიდან სამეგრელოს მიწას ფეხს არ დაადგამენ მათთან წინასწარი შეთანხმების გარეშე.

თურმე, სწორედ ეს გახდა 12 აგვისტოს, სამი საათის განმავლობაში, თბილისიდან სამეგრელოს ასაოხრებლად წამოსული ლაშქრის ცხენისწყალზე განერების მიზეზი!

ამ მოლაპარაკებაზე გადაწყდა, რომ ჯარი სამეგრელოს ტერიტორიას გაუხერხებლად გაივლიდა და ენგურს გაღმა, აფხაზეთის ტერიტორიაზე გადავიდოდა.

საგანგებოდ ავლნიშნავ, რომ მოლაპარაკების არცერთ მონაწილეს ჩემთან საუბარში აფხაზეთის ტერიტორიაზე „რკინიგზის დაცვა“ არ უხსენებია.

ასე შეეწირა შევარდნადის სამეგრელოს მორიგი აოხრების გეგმა ყარყარაშვილ-ქუთათელაძის მიერ გონა ჯიქიას სახლში დადებულ საიდუმლო მხედრულ ფიცს!

ხოლო ყარყარაშვილს, რომელიც ერთხელ უკვე იყო ნაჩვევი აფხაზეთში გასივრებას და ფსოუს წყლის დაღვევას, მისი გამეორება დიდ პრობლემად არ მიანხდა.

სამწუხაროდ, მან არ იცოდა შევარდნადის მზაკერული გეგმის შესახებ, თუ რა მოლაპარაკებებს მართავდა იგი მეორე მხარესთან, რომელსაც ვითომ ებრძოდა, 1992 წლის 14 აგვისტოდან 1993 წლის 27 სექტემბრამდე!..“

საგაზაფხულო საგაზაფხულო შვილები



ტერენტი გრანელი  
საკუთარი ბედის ავტორი  
(ტერენტი გრანელმა  
საკუთარი სიკვდილი თითქმის  
ზუსტად იწინასწარმეტყველა)

გაზაფხულის საღამოა მშვიდი,  
ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი.  
სული საზღვარს გადასცდება  
ფრენით,  
ახლაც მახსოვს მისამართი შენი.  
ცამდე წვდება ღამეების სიგრძე,  
რადაც დიდი სიხარული ვიგრძენ.  
წინ მეშლება სხვა ოცნების არე,  
მიწის ცქერით დაიღალა მთვარე.  
გაზაფხულის საღამოა მშვიდი,  
ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი.

მე ვწერ ამ სტრიქონებს ქარიან ღამეში, როცა წვიმის წვეთები ეცემიან მიწას და როცა სიშორეზე ტირის როიალი.  
მე ახლა მაგონდება ჩემი ცხოვრების ქარიშხლიანი დღეები და სინანულის ქრუსანტელი მივლის.  
თანაც მიხარია, რომ ვარ ტერენტი გრანელი.  
წინ უფსკრულია და შავი ნისლი მახვევია ირგვლივ.  
მე ქვეყნის გაჩენიდან ნელა მოვდიოდი სინათლისაკენ, რომ მეხილა მზე.  
ალბათ მიხიდავდა შორეული და უხილავი.  
მოვედი ადრე.  
და ახლა ისევ ვუახლოვდები სიბნელეს, როგორც ზღვას, სადაც სამუდამოდ ჩაიხიბება ჩემი სხეული.  
ყოველ ღამეს მოაქვს ფიქრი სიკვდილზე და სიშორეზე.  
და მეშინია...  
ვფქვობ: მოვა წამი, როცა არ ვიქნები ცოცხალი. მაინც მჯერა ჩემი უკვდავება.  
მე პოეზიამ მაგრძობინა, რომ სადღაც შორს არსებობს უკვდავების ცისფერი მხარე, სადაც დაფრინავს ჩემი მწუხარე სული.  
ქარიშხლიანი ღამეა და მინდა ვიყო სხვაგან.  
პოეზიამ იცის უეცარი სიხარული, რომელიც უდრის გაფრენას.  
მე არ მინდოდა სიცოცხლე.  
არც სიკვდილი.  
მე რადაც სხვა მსურდა.  
ახლაც ვფიქრობ და მწამს მესამე გზის არსებობა, როგორც იდუმალები.  
მე ისევ ვდგავარ მარადისობის გარინდულ საზღვართან ვით მგლოვიარე სერაფიმი და ველი ქრისტეს ღანდს, რომელიც დაძინების მე განსაცდელისაგან.  
და მჯერა სიცოცხლე სხეულის გარეშე.  
მე მივმართავ მთელ მსოფლიოს შემდეგი სიტყვებით:

# ცერენცია გრანელი

მე მინდა გაფრენა.  
მე მინდა ყველგან ვიყო, როგორც ღმერთი.  
ჩარჩენილი ვარ ბავშვივით ამ ცოდევილ ქვეყანაზე და არ ვიცი როგორ ამოვიდე იმ ტალახიდან, რომელსაც ეწოდება მიწა. არა სიცოცხლე.  
არა სიკვდილი.  
არამედ რაღაცა სხვა.  
ვამბობ: არ არიან სიტყვები გრძობებისათვის, გარეთ ისევ ქარიშხალია, წვიმის წვეთები ისევ ეცემიან მიწას და ისევ სიშორეზე ტირის როიალი.

ქართული ლიტერატურის მკვლევარებმა იციან, რომ ტერენტი გრანელის ხელნაწერი ლექსები, დღიურები, წერილები და სხვა, ომელნიც დაკარგვას გადაურჩნენ, პოეტის გარდაცვალების შემდეგ მის დას მამოს (მარიამს) სათუთად აკინძული და "წიგნებად" შეკრული, გიორგი ლეონიძის სახელობის საქართველოს ლიტერატურის მუზეუმისათვის ჩაუბარებია და იქ მათ დიდი მზრუნველობით უვლიან. აქ დაცულ ციხფურედიან სასკოლო რეველში, რომლის ოთხ ფურცელზე ტერენტი გრანელს თავისი "მოკლე ბიოგრაფია" აქვს დაწერილი, რომელსაც გთავაზობთ:

## ტიმინტი ბრანელი (მოკლე ავტობიოგრაფია)

ტერენტი გრანელი, იგივე კვირკველია, დაიბადა 1901 წელს სოფელ წალენჯიხაში, ღარიბი გლეხის ოჯახში. მამამისის სამსონ კვირკველიას ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა სოფლის მეურნეობა, მაგრამ სოფლის მეურნეობის შემოსავალი ისე მცირე ჰქონდა, რომ ცოლ-შვილი ყოველთვის ნახევრად სამათხოვრო მდგომარეობაში ჰყავდა. ამ მდგომარეობამ სამსონი აიძულა გაეჩინა შემოსავლის დამატებითი წყარო – შეისწავლა ხელოსნობა და სიკვდილამდე სოფლის მეურნეობასთან ერთად ეწეოდა ხელოსნობას – მეუნაგირეობას.

ტერენტის მეტად დუხჯირ პირობებში უხდებოდა გაზრდა, ხოლო ნაადრევად დედის, იელიტას სიკვდილმა (ორი წლის იყო ტერენტი) კიდევ უფრო გაამწვავა ეს.

როდესაც ტერენტი შეიღი წლის შეიქმნა (ამ დროს სამსონს მეორე ცოლი ჰყავდა, დარია მეზონია), შეიყვანეს წალენჯიხის სოფლის სასწავლებელში, სადაც მან სწავლების მთელ პროცესში უდიდესი ნიჭი და უნარი გამოიჩინა – ის მთელ სკოლაში ითვლებოდა წარჩინებულ მოწაფედ – და ამიტომ არც არის გასაკვირი, თუ სკოლის დირექტორი პაველ შანავა ტერენტის მეტსახელად მოწაფეთა "მეფეს" ეძახდა.

ტერენტის წიგნებისადმი სიყვარულის გაღვივებაში დიდი როლი ითამაშა იაკო შანავამ, რომელსაც ჰქონდა საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა და სისტემატურად აძლევდა წასაკითხად და ეხმარებოდა გაუგებარი საკითხების გარკვევაში.

ის არა მარტო კითხულობდა, არამედ თავიდანვე ჰქონდა უნარი წაკითხულის და გაგებულის აზრების მასების გადატანის: ხშირად უყრიდა ხოლმე თავის ამხანაგებს თავს და ესაუბრებოდა წაკითხულ წიგნზე, ამით ის აინტერესებდა და აყვარებდა წიგნებს

მის ტოლ ბიჭებს. მოჯიუტე ამხანაგებს ხშირად უსაყვედურებდა: თქვენ რა იცით, წიგნი და ხილიაო.

ტერენტის უყვარდა განვლილი მუშაობის შეჯამება და თავის თავზე ანგარიშის გაკეთება. ხედავდა წიგნებით მუშაობის ზრდას. ამიტომ ხშირად აკეთებდა დასკვნას: "წიგნებზე მუშაობა ჩემთვის ყველაფერია. მხოლოდ ამით შემიძლია მე წარსულის, აწმყოს და მომავლის გაგებაო".

ტერენტი არა მარტო სწავლაში ირჩნდა ჯინიანობას და ბეჯითობას, არამედ ყოველივე, თუ გინდ წვრილმან საოჯახო საქმეებშიაც ყოჩად იყო. ის ყოველგვარი ყოყმანის და ბევრი მითითების გარეშე დიდ დახმარებას უწევდა მამას და ამიტომ მამა – სამსონი ხშირად იტყოდა ხოლმე თავის ნათესავებში და მეზობლებში: "ტერენტი ეს ჩემი მარჯვენა ხელიაო".

მშობლებიც ატყობდნენ ტერენტის ნიჭს და უნარს. ამიტომ ცდილობდნენ ის სწავლისათვის არ მოეწვევიათ, მაგრამ ბედმა უკუღმა დაატრიალა: 1914 წელს მამამისს დაეწვა სახლ-კარი მთლიანად. ისედაც ღარიბი გლეხი გამოუყვალ მდგომარეობაში ჩავარდა. ნათქვამია: "გაჭირვებულს ქვა აღმართზე მოეწიო". ასე დაემართა სამსონსაც.

ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სამსონი იძულებული გახდა, ამავე წელს ტერენტი მერ კლასიდან გამოეყვანა და ამოეყენებინა გვერდზე. მეტი რა საშეგელი იყო, ტერენტიც დაემორჩილა ამ მდგომარეობას, ხოლო მამას გამოართვა მტკიცე პირობა, რომ ის მალე დაუბრუნდებოდა სწავლას. ტერენტის სკოლის გარეშე ყოფნამ გასტანა სამი წელიწადი. ამ პერიოდში ის არ ანელებდა წიგნებზე მუშაობას, პირიქით, მეტი მონღომებით ეტანებოდა შანავას ბიბლიოთეკას.

ყველაზე მეტ ინტერესს მასში იწვევდა ლიტერატურა. ძალზე ბევრს კითხულობდა ქართველ მწერლებს ჭაგჭაგაძეს, ორბელიანს და სხვებს. მას ახალგაზრდობიდანვე დაებადა ინტერესი, შეეტანა ახალი რამ ქართულ ქართულ პოეზიაში. ჯერ კიდევ თორმეტი წლის ტერენტი წერს და მონაწილეობს სხვადასხვა პურნალ-გაზეთებში. მისი პირველი წერილების გამოქვეყნებამ კიდევ უფრო გაათამაშა და ბრძოლის უნარი შემატა მას.

რაც დრო გადიოდა, მით უფრო მოუსვენრობა ემატებოდა, ვერ აკმაყოფილებდა სოფლის მეურნეო ცხოვრება. ის მრავალჯერ შენივლებდა მშობლებს: "აქ, ამ პირობებში, სული მეხუთებაო".

მალე აისრულა წადილიც. 1917 წელს ტერენტი მოდის ტფილისში, თავის და მამოსთან ერთად, ეწყობა იმავე წელს ტფილისის რკინიგზის კონდუქტორად, მაგრამ აქ ბევრ ხანს ვერ ჩერდება, უკავშირდება მწერლებს და რედაქციას, თავს ანებებს კონდუქტორობას და იწყებს სხვადასხვა სახის წერილებისა და ლექსების წერას. აქვს მრავალი სხვადასხვა სახის წერილები და პოემები დაწერილი.

ტერენტი ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ენერგიით სავსე დაავადყოფდა სულის ავადმყოფობით. მიუხედავად მრავალი ზომებისა, მას საშეგელი არ დააგდა და 1934 წლის 15 ოქტომბერს გარდაიცვალა

ქ. თბილისში. დასაფლავებულია თბილისში, პეტრე-პაველეს სასაფლაოზე. უნდა დავასკვნათ, რომ ტერენტი თავისი ნიჭის და უნარის მიხედვით ერთ-ერთ დიდ ადგილს დაიკავებდა ქართულ პოეზიაში, მაგრამ მისი ახალგაზრდული ნიჭის გაფურჩქნას საშუალება არ მისცა უდროო სიკვდილმა".

ყოველივე ამას თავზარდამცემი სიმშვიდით წერს ადამიანი საკუთარ თავზე. მძიმე სულიერი და ფიზიკური ტკივილებით გაწამებული პოეტი აბუნად ივდებს სიკვდილს, რადგან იცის, რომ ფიზიკური სიკვდილი მისი შემოქმედებითი დიდების დასაწყისად იქცევა.

ცნობილი ქართველი მეცნიერი გივი ცქიტიშვილი აღნიშნავდა, რომ "მის უმაღლეს პოეტურ განცდებთან შეუთავსებელ, არადადამიანურ პირობებში ცხოვრებამ, ბოლოს კი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ხშირმა იძულებით "მეკურნალობამ", რომელსაც "საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის" თხოვნით თბილისის "მილიციის სამმართველო" პერმანენტულად, თანაც მთელი სიმკაცრით ახორციელებდა, უზენაესი სულის ჭეშმარიტი პოეტის ნებისყოფა საბოლოოდ გატეხა."

ამას დაერთო იმ დროს მეტად გავრცელებული მუცლის ტიფი და, როცა ფიზიკურად ისედაც დაუძლურებული ტერენტი გრანელი თბილისის პირველი საავადმყოფოს ინფექციურ განყოფილებაში აღმოჩნდა, მიხვდა, რომ ხსნა არსაიდან იყო და ცოცხალი ვეღარ გააღწევდა აქედან.

და ვინ იცის, გონების როგორი დაძაბვის ფასად აიძულა საკუთარი თავი, უკანასკნელად გასაუბრებოდა თავის სათაყვანებელ მკითხველს – ქართველ ხალხს.

და სწორედ იმ დღეს დასწერა "მოკლე ავტობიოგრაფია" – საკუთარი სულის რეკვიემი.

რაც შეეხება ტერენტი გრანელის გარდაცვალების ზუსტ თარიღს, "საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის" სამარცხვინოდ უნდა ითქვას, რომ არც ერთ სალიტერატურო გაზეთს, არც ერთ პურნალს ამის შესახებ არა თუ სამთავრობო ნეკროლოგი, უბრალო ცნობაც არ გამოუქვეყნებია. სახელისუფლები პრესაზე ხომ ლაპარაკიც ხელმეცია.

პოეზიის ზეგრძობიერი ძალა ასულდგმულებდა მხოლოდ, პოეზია მიაფრენდა ზეცისაკენ, მოუხილავ მესამე გზისაკენ, და ოდნავაც არ ადარდებდა მიწიერი უსახლკარობა...

მძიმე იყო და ეკლიანი მისი ცხოვრება, ხოლო პოეზია და კაცობა მისი – დუკნილი...

ლერი ალიმონაკი, მწერალი

სწორედ მისი რაობაა ჩაქსოვილი ტერენტი გრანელის სტრიქონებში:

წუხელ სიზმარში  
მომიძლოდა ჩემი ცხედარი,  
და მივიღიდი, მივიკოდი  
საშიშ ქარიშხალს.  
ზარი რეკავდა: სამარადოდ  
იყავ ნეტარი!  
წუხელ ანაზღათ უკუნეთმა  
თავი ააიშვა  
\* \* \*  
წუხელ სიზმარში  
მომიძლოდა ჩემი ცხედარი.

# ამის დაპარობის, ან დაპიწყობის უფლება არც რუსსა აქვს და არც ქართველს!

(ნაწვევები ვასილ ველიჩკოს წიგნიდან "კავკასია")

1904 წელს, ამ წიგნის ავტორის ვასილ ველიჩკოს გარდაცვალების შემდეგ, მისი მოსწავლეების მიერ „კავკასიის“ წიგნად გამოცემა ძალზე ააფორიაქა მთელი პლანეტის სომხური მოსახლეობა. ინგლისში მცხოვრებმა სომეხმა დიდგვარმა გულბეკიანმა იმ დროისათვის ზღაპრული თანხა – ხუთი მილიონი ფუნტი სტერლინგი (დღევანდელი კურსით, დაახლოებით სამასი მილიონი დოლარი) – გადაიხადა, რათა ამ წიგნის მთელი ტირაჟი გაეყიდვინა ამოღობი და გაენადგურებინათ, მაგრამ, როგორც ხედავთ, ვერაფერს გახდა. თუმცა, სომეხებმა ნაწილობრივ მაინც მიაღწიეს საწადელს, რადგან წინამდებარე წიგნი გახლავთ ვასილ ველიჩკოს მილიანი ნაშრომის პირველი ტომი, მეორე ტომი კი, საერთოდ აღარ გამოშვალა და, ჩვენი დიდი ძიების მიუხედავად, მაინც ვერ მოვახერხეთ მისი პოვნა. როგორც ჩანს, ამ ტომის ხელში ჩაგდება და განადგურება გარკვეული საზღაურის ფასად მაინც მოახერხეს სომეხებმა.



### 8. ტომობრივი გათიშულობა და ეკონომიკური სამფლობელო

თურქეთსა და ირანში მცხოვრები სომხების დიდი ნაწილი ავტონომიის შექმნაზე მართლაც ფიქრობდა. ძველკლასიკური რუსეთის შემადგენლობაში შესვლით, კერძოდ კი კავკასიაში დასახლებით, სომეხი ხალხი პირველ წლებში არ პყავდა ატანადი ბოღვით იღებდა. იგი ისევე ებრძოდა მძიმე განცდების შემდეგ, აღიშვებდა ძალებს, მდიდრდებოდა და თავისთვის ეკონომიკურ ნიადაგს შეუმჩნევლად აზღაურებდა. მაგალითად, ერმოლოვის მმართველობის პერიოდში მათთვის ბუნტის მოწვევა აშკარად არახელსაყრელი საქმე იყო.

უხეხავის ნებით გამოცემულ წიგნში „კავკასიისმიდმა მდებარე რუსული სამფლობელოების მიმოხილვა“ (1836 წლის გამოცემა) 197-199 გვერდებზე ნათქვამია, რომ „სომეხები, მოსეს ხალხის მსგავსად, მთელი დედაამიწის ზურგზე გაიფანტნენ, რათა დაეგროვებინათ სიმდიდრე, რომლის გამოყენების ბედნიერებას ისინი საკუთარი მმართველების უღელქვეშ, საკუთარ მიწაზე ვერ ედრისებოდნენ“. სწორედ ეს გახლავთ სომხური ხასიათის წარმოცობის მიზეზი და იგი კოსმოპოლიტად იქცა. მის სამშობლოდ იქცა ის ქვეყანა, სადაც იგი ყოველგვარი საფრთხის გარეშე არსებობდა და საკუთარი მოხერხებისა და ეშმაკური გონების წყალობით ქონებას იხვევდა. მაგრამ, მასში ამ მხრივაც შეინიშნება გარკვეული სულიერი გაუბედაობა. საჭიროა, ღრმად დამაჯერებელი არაუმეტეს გარანტირებული მოგების მისაღებად, რათა სომეხი დაიყოლოდ რაიმე სავაჭრო ვარიანტზე. ხშირად კი, სომხის წარუმატებლობის მიზეზი, ამგვარ გარიგებაზეც კი უარის თქმას ნიშნავს. ყოველივე ეს განპირობებული იყო აზიური მმართველობის სისუსტით, სადაც ქონება, ხშირად, მისი მფლობელების უბედურების მიზეზი ხდებოდა და, ამდენად, აუცილებელი იყო მისი საგულდაგულოდ შენიღბვა. ეშმაკობა, ცბიერება, გაუპირობებლობა, მთი უმეტეს, მოვაჭრე სომხების ძირითადი ნიშან-თვისება გახლავთ: მათთვის ყიდვა-გაყიდვისას სიცრუის ნებისმიერი ფორმა მისაღებია, ოღონდ, კანონის ფარგლებში. მათ ტვირთი და მთელი ამიერკავკასია სწორედ ვაჭრობით დაიპყრეს. ასრულებენ შესყიდვებთან დაკავშირებულ ყველა დავალებას; ისინი არიან თარჯიმნები, მომსახურებლები, ფაქტორები; ერთის სიტყვით, ყველგან, სადაც კი შეიძლება მოგების მიღება, მხოლოდ სომეხს ნახავ. ანგარება – აი, რა გახლავთ ამ ხალხის მამობრავლები ძალა და ზრუნვის უპირველესი საგანი!

ში რჩება, გამონაკლისია მხოლოდ კოსმოპოლიტიზმზე მინიშნება. მე-19 საუკუნის 30-იანი წლების შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და სომეხთა ტომის განცალკევების პროცესები განსაკუთრებული სისწრაფით განვითარდა სასულიერო და საერო ბოზობათა დახმარების წყალობით. სიმდიდრის სწრაფად დაგროვებით და ამ სიმდიდრის შეუფერხებლად გამოყენებით და, რაც მთავარია, იმ მიუღი რიგი რუსი მმართველების წინააღმდეგობის მიხეზით, რომელთაც სომეხი წინამძღოლები ყოველი საშუალების გამოყენებით, ხშირად კი სასაქონლო-მატერიალური არგუმენტების მოშველებით არწმუნებდნენ სომხეთის ურყევ ერთგულებასა და მეგობრობაში რუსეთის მიმართ. ეს უკანასკნელი თითქოს მართლაც დასტურდებოდა ყოველი ომის დროს, როცა სომეხები ჯაშუშობას ეწოდნენ თურქებისა და სპარსელების წინააღმდეგ, რაც ნაკლებად საიმედო მტკიცებულებაა, რადგან თვით ჯაშუშობა ამ სპეციალობის მქონე ადამიანის მიმართ უნდობლობას იწვევს.

ფრიად საინტერესოა „მიმოხილვის“ ავტორის შენიშვნები სომეხთა სულიერი სიმდიდრის თაობაზე სამრეწველო სფეროშიც კი. თავადი ვორონცოვი მათ თითქმის ძალით ახვევდა თავს სარგებლიან საწარმოებს, რომელთაც სათავე დაუდეს სომეხთა ზღაპრულად გამდიდრების პროცესებს. პირველივე დღიდან მოყოლებული, ლამის დღევანდლამდე, მათი გამდიდრების საწყისი გახლავთ პარაზიტული, და არა – შემოქმედებითი. გერმანულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ამას ეწოდება „კონიუნქტურულობა“, ე.ი. სარფი, ხეირო, ხელფანური ან ბუნებრივი პირობების საფუძველზე, სასარგებლო ტექნიკის მოხერხებულად გამოყენებაზე, ადგილობრივი ხელისუფლებისა და უცხოეთში, მორიდიორები უძრავ ქონებას მოულობდნენ, ყველა სამომხმარებლო ნივთზე ფასები კი განუხრებლად იზრდებოდა ომის მომიზეხებით, შემდეგ კი ფასები იყინებოდა ამ არანორმალურ ნიშნულზე. ჯერ კიდევ პოვოდინი, რომელმაც კავკასია თავად ბარიატინსკის დროს მოინახულა, აღნიშნავდა აქ ცხოვრების გადამეტებულ სიძვირეს, როგორც ჩანს, ხელფანურად შექმნილს.

მეფისნაცვლობამ დიდად შეუწყო ხელი სომხების ეკონომიკური ძლიერების ზრდას და მის ტომობრივ გათიშულობას. კავკასიის მმართველობის ამჟამად დრომოკმულ სისტემას, მითითებულ ისტორიულ სერიოდში, გააჩნდა თავისი გააზრებული საფუძველი, თუმცა, მას მაინც ჰქონდა ბნელი მხარეებიც. მაგალითად, მეფისნაცვალმა ვორონცოვმა, რომელსაც

ნიკოევი, საპოლიციევი, ლისიციევი, სერგეევი, პოპოევი და სხვა. ასტრახანში იყო ერთი მეფის სომეხი ძალზე რუსული გვარით, რომელსაც შემდგომში უწოდეს „წითელი სარტყელი“. მისი შთამომავლები გაძვრნენ დიდგვაროვნებში და იმ წრეებში, სადაც მათ დიდი სიხარულით არავინ ელოდა...

როგორც შემდეგ გაირკვა, ეს ასიმილაცია იყო უადრესად ზედაპირული და დროებითი. სომეხებს ზურგს უკან ეჭირათ დათიშულობის ქება, რომელიც თანდათან იზრდებოდა, ჯერ შეუმჩნევლად, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან კი აშკარა, თავბრუსმომხვევი სისწრაფით.

გათიშულობის იდეას სომეხებს კარნახობდნენ ჯერ ინგლისელები, რომელნიც კავკასიაში ჩვენი ომის დაწყების დღიდან ისწრაფვოდნენ ყველა ადგილობრივი ტომის რუსების წინააღმდეგ ასაჯანყებლად, პოლონელები – მე-19 საუკუნის 30-იანი და 60-იანი წლების ე.წ. „შემხანაუნებით“, მოგვიანებით – გერმანელები, დაბოლოს თვით სომეხები, რომლებიც ჩამოდიოდნენ უცხო ქვეყნებიდან. ასეთ სომეხებს შორის გამოირჩეოდა ორი, განსაკუთრებით „შხამიანი“ ოჯახი. პირველი გამოირჩეოდა კლერიკალური ხარატირული მიმართულებით, მეორე კი სეპარატიზმი დაფუძვნებული კრამოლიზმი, მეორეს მხრივ, ომები გადაჭარბებულად ამიდრებდა სამრეწველო კლასს. მოწოდებდნენ, ჯაშუშები, მორიდიორები უძრავ ქონებას მოულობდნენ, ყველა სამომხმარებლო ნივთზე ფასები კი განუხრებლად იზრდებოდა ომის მომიზეხებით, შემდეგ კი ფასები იყინებოდა ამ არანორმალურ ნიშნულზე. ჯერ კიდევ პოვოდინი, რომელმაც კავკასია თავად ბარიატინსკის დროს მოინახულა, აღნიშნავდა აქ ცხოვრების გადამეტებულ სიძვირეს, როგორც ჩანს, ხელფანურად შექმნილს.

მეფისნაცვლობამ დიდად შეუწყო ხელი სომხების ეკონომიკური ძლიერების ზრდას და მის ტომობრივ გათიშულობას. კავკასიის მმართველობის ამჟამად დრომოკმულ სისტემას, მითითებულ ისტორიულ სერიოდში, გააჩნდა თავისი გააზრებული საფუძველი, თუმცა, მას მაინც ჰქონდა ბნელი მხარეებიც. მაგალითად, მეფისნაცვალმა ვორონცოვმა, რომელსაც

მიხნად ჰქონდა დასახული კავკასიელი ხალხის „ვეროპიზაცია“, ისინი წაიყვანა მოთხოვნილების ძლიერად გაზრდის, ფუფუნების მოძალების და მყვირალა საზოგადოების შექმნის გზით. ეკონომიკურად მოუშაადებული ელემენტები გააკორდნენ, ხოლო მტაცებლები, ესე იგი, სომხური ბურჟუაზიის წარმომადგენლები, გამდიდრდნენ პატივმოყვარე დიდებულთა ძეგლებზე, რომლებიც ქიქლებით ეტანებოდნენ ცეცხლის ალად ქვეულ სატყუარებს. პირველივე მეფისნაცვალთან ჩამოყალიბდა რაღაც მეფის კარის მსგავსი და, მიუხედავად იმისა, რომ ამ სამეფო კარის უდიდეს ნაწილს შეადგენდნენ დიდგვაროვნები, მათი ფულადი კაბალური და მოკიდებულება სომეხი მდიდრებისაგან განაპირობებდა იმ გარემოებას, რომ ეს დიდგვაროვნები ხშირად არ იყვნენ ხოლმე საკმაოდ გააღვინანები. ამის თაობაზე კარგად იცოდა კავკასიის მხარის უფროსობამ.

კავკასიის გათიშულობის წინააღმდეგ უფრო ადრე შეიძლება შეხება მისი ზომების მიღება რუსული ეკონომიკური ძალის მოხერხებულად დანერგვის გზით და, რაც მთავარია, ამიერკავკასიიდან რუსეთში რკინიგზის უმოკლესი დამაკავშირებელი ხაზის გაყვანით. მაგრამ, სწორედ ეს არ იქნა გაკეთებული, რაც უკვე აღვნიშნეთ წინა თავში. ამის ნაცვლად გაყვანილი იქნა ამიერკავკასიის რკინიგზა, ე.ი. მოხდა ვრცელი მხარის ეკონომიკური სისხლის მიმოქცევის არტერიათა განცალკევება. ჩვენთან მიღებულია, რომ რკინიგზას ადვილად შეეძლება პროგრესისა და, საერთოდ, გამდიდრების ფაქტორს. ეს გახლავთ საესეებით არასწორი აზრი, რომელიც ალბათ დანტერესებულ პირთა მიერაა შეთხზული, რომელიც შემდეგ აიტაცეს ობივანტლებმა. რკინიგზა იარაღი გახლავთ, რომელიც მთელის ძალით ემსახურება სხვებზე ძლიერს, რომელიც ამწავებს და აქარებს ძლიერსა და სუსტს შორის ნერვიული ბრძოლის კვანძის გასსნას, საქმეზე გადაგებულებსა და დაფანტულ ობივანტლებს შორის ბრძოლას. ამიერკავკასიის რკინიგზა სომხური ბურჟუაზიის ხელში წამსვე იქცა ადგილობრივი მოსახლეობის მარცვა-ყველფის იარაღად, ისევე, როგორც ბანკები და სხვა დაწესებულებები.

საკუთარი ეკონომიკური ზემოქმედების ვრცელ რაიონს ძლიერნი ამა ქვეყნისანი ხალხისთვის ითვინებენ შემდეგი პირობების დაცვით – რომ იგი იქცეს სამომავლოდ საკუთარ პოლიტიკურ ტერიტორიად, მით უმეტეს, რომ წინა ახის ისტორია საკმაოდ მდიდარია ამგვარი „ნაოცნებარებით“. ან როგორ არ იოცნებოთ ადამიანებმა, რომლებიც უცდად გამდიდრდნენ ბნელი გზებითა და საშუალებებით, ყოველგვარი შემოქმედებითი შრომის გარეშე, და რომლებიც წლების განმავლობაში ხედავენ, რომ მათთვის ყველაფერი ნებადართულია, მათ ყველაფერი ეპატიებათ, ყოველგვარი ავკაცობა შერჩებათ! ადგილობრივი და იმპერიის ცენტრალური პრესა მათ ინტერესებს ემსახურებდა, პეტერბურგის კეთილნდობიერმა სახელმწიფოებო წარმომადგენლობამ კი ამის თაობაზე არაფერი იცის... საოცარიც კი იქნება, რომ ამგვარ რამეზე არ „იოცნებო!“

ჩვენს მიერ დაპირობილი ოქტების მკვიდრი მუსულმანები არც თუ მწარე ირონიის გარეშე იკით-

ხავენ ხოლმე: „სად არიან რუსები! რისთვის დაგვიპყრეს მათ! ყოველი შემთხვევისათვის, არა საკუთარი თავისთვის. ჩვენ ვხედავთ მამაც რუს ჯარისკაცებს, ახლა კი ვხედავთ მხოლოდ სუსტ და ანგარეზიან რუს ჩინოვიკებს, რომლებიც ხშირად არც კი არიან რუსული წარმოშობის. არც თქვენი ვაჭრები, არც თქვენი მიწათმოქმედები აქ არ სჩანან! მხოლოდ სომეხები არიან ყველგან – ჩვენი გუშინდელი მონები. ვერაფერს იტყვი, განა კი ღირდა ამისთვის ბრძოლა, რომ ბატონობის საღაპრები ამ ცუდ ხალხს ეგდო ხელში!“

ორ ფაქტორს ჰქონდა გადამწყვეტი ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა ამიერკავკასიელი სომხებისათვის, რომლებმაც შეიძლება ითქვას, გაარღვეეს ის კაშხალი, რაც მათ შემტევ წინსვლას აყოვნებდა. პირველი ფაქტორი იყო მე-19 საუკუნის 60-იანი წლების რეფორმის პროცესში არსებული ხარვეზები, მეორე კი – ბაქოს ნავთობმრეწველობის საწარმოების განვითარება.

პირველმა ფაქტორმა გამოიწვია თავდაზნაურთა გაძვლტყავება, მისი ავტორიტეტის ვარდნა, კავკასიაში რუსული წყობის მოძულე და ახალი იდეებით გამსჭვალული ბურჟუაზიული ლიბერალიზმიდან თვით ანარქიამდე – ადამიანების თავმოყრა. ასეთი ადამიანები ვერც რუსული საქმის კეთებას შესძლებენ და ვერც გადამნიოთლა გამოშველურ საქმიანობას აღუდგებიან წინ. სამართლებრივი წესრიგი, რომელიც ზედამოტრიალია იქ, სადაც განვითარებულია მოქალაქეობრიობა და მოსახლეობის ყველა ფენისა და კატეგორიის თვით-შემოქმედება, სისულელედ წარმოჩინდა კავკასიაში და ყველაფერი სომხების ხელში მოექცა, რომელთაც მრავალთა შორის ერთადერთებს აღმოაჩნდათ ბურჟუაზიულ-სამართლებრივი სივრცეში გამარჯვების უნარი. გადახვევული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეს თვისება მათ სიმასინჯამდე აქვთ განვითარებული. მათ შეუძლიათ ყოველგვარი მოლაპარაკებების გარეშე შეკრან ერთმანეთს, გახდნენ დისციპლინირებულები, მოაწვიონ გაფიცვები და მცირე ეკონომიკური და სხვა სახის შეთქმულებები ყველა სხვა ობივანტების წინააღმდეგ. ამ შესაძლებლობებით ისინი სჯობნიან ებრძვებიან, რომელთაც სომეხებზე მეტი შემოქმედებითი ფანტაზია გააჩნიათ.

კავკასიაში ნავთობმრეწველობის პიონერები რუსები იყვნენ, მაგრამ, მალე მათი კვალიც კი გაქრა, რადგან მათ არ შეუძლიათ სასამდიდრებლად სომხური მეთოდების გამოყენება. მათ არ შეუძლიათ სომხური მეთოდებით კონკურენტების შევიწროება და მათი განდევნა კრიმინალების გამოყენებით, გაეცდნენ, ყველა შესაძლო საუწყებო ინტრიგებით და სხვა. რამდენიმე ათეულმილიონობით შემოსავალი თავბრულამხვევი სისწრაფით იწვევდა დენას. გუშინდელი უსაქმო აბული, დამხმარე მუშა, პორტის მტვირთავი, წვრილმანი საქმის მწარმოებელი, ან მეტნაკლებად ცნობილი კონტრბანდისტი, მიიღებდა რა „თავისი ხალხისაგან“ ნავთობით მიდიარ მიწის ნაკვეთს, რამდენიმე თვის შემდეგ იოლად ახერხებდა იმ რამდენიმე მოსამსახურე ჩინოვიკის მოსყიდვას, რომელთაც არ გააჩნდათ სხეობრივი და მატერიალური მხარდაჭერა. გამართა თავისებური ბაკჩანალია, რომელიც დღესაც გრძელდება.



(გაზეთი "ილორი" აშუქებს ბატონ კლიმენტი შელიას მიერ აღწერილ იმ პერიოდს, როცა პოეტმა მურმან ლებანიძემ შევარდნაძისა და მისი გარემოცვის შეკვეთით რამდენიმე ლექსით ბინძურად შეაყროლა სამეგრელოს).

ცნობილი მხახიობი, ბატონი ზურაბ ქაფიანიძე წერდა: "იგი (მურმან ლებანიძე – რედ.) სულ საქართველოს მწერალი იყო, ხოლო დღევანდელმა საბჭოთაო მწერალი უთხრეს, ეს რომელი ტყვია საქართველოს და ესროლა".

ქართველთა ლეგენდარული გმირის ცოტნე დადიანის ერის მოღალატედ გამოცხადება (მურმან ლებანიძის მიერ – რედ.) სერიოზული განხილვის საგანი არ გამხდარა.

რამდენადღაც შემქმნელი, ვეძებე სამეცნიერო და მხატვრულ ლიტერატურულ წყაროებში, გამომჩინდა ადამიანთა ნარკვევებში ასეთი მოქმედების ანალოგი, მაგრამ მსგავსი რამ ვერსად მოვიძიე (ეგზე ვერ მოვახერხე). ქვეყნის მეთაურები თვითონ მოუწოდებენ პოეტებს, მწერლებს, თავიანთ ხალხს, თავად შექმნან გმირები, რომლებიც მათ ეტალონად გამოადგება. ყველა ქვეყანაში ხალხი გმირებს ეძებს და თვითონვე პოულობს, რომ მათი იდეები და საქმეები წინ წაუძღვოს. ესენი ქვეყნისათვის თავდადებულ, საუკუნეების განმავლობაში აღიარებულ სახელოვან გმირს ებრძვიან, შეურაცხყოფას აყენებენ საკუთარ ერს. აქ კი, ჩვენთან, ნამდვილი გმირი,

### ვაბრკელები ნაწყვეტების ბეჭდვას პროფესორ კლიმენტი შელიას წიგნიდან "კოლხეთი – ჩვენი სამყაროს კარიბჭე"

წმინდანი, ერის მოღალატედ გამოაცხადეს (რა საბუთით?! რა მიზნით?!).

იმ დროს, როდესაც საქართველოში გამწვავებული მდგომარეობა იყო, პოეტმა მიხეილ ქელიძემ ვიპოვეთ გაკრა სამეგრელოს და მის წინააღმდეგ მიმართული ლექსი გამოაქვეყნა.

2006 წლის მაისში მწერალმა და დიაკვანამ მერაბ ელიოზიშვილმა საგაზეთო ინტერვიუში თქვა: "თუ დავიჯერებთ, ქართული ენა ქართლში გაჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ მეგრულმა შეისწავლა ქართული, ბოლომდე მაინც ვერ გაითავისა. მეგრულმა მწერალმა, რაც არ უნდა კარგად იცოდეს ქართული, ის მაინც ვერ ცეკვავს სიტყვით. იგივე მდგომარეობაა ზემო იმერეთშიც". ასეთ გაუგებრობაზე პასუხის გაცემა ნამდვილად უხერხულია, მაგრამ დირსუელმა პიროვნებამ ოთარ ჭითანავამ შესანიშნავი პასუხი გასცა: "ამბობთ, ცხენმა გადმომაგდო, თუმცა, ჩვენდა სამწუხაროდ, მწარედ კი დაუხეთქებინართ, თორემ "ბებური მეზურნეების" ავტორი ასეთ აბდა-უბდას როგორ "გაახალტურებდით?". მართლაც, ასეთ აბდა-უბდას სხვა პასუხი არ ეკადრება!

თუ ვინ იყო ცოტნე დადიანი, რა დამსახურება მიუძღვის ერისა და ქვეყნის წინაშე, საყოველთაოდ ცნობილია. მაგრამ მაინც მოგვყავს ზოგიერთი ადგილი ცნობილი მეცნიერების – სარგის კაკაბაძის, პავლე ინგოროყვას, ამირან ცამციშვილ-ფიცხელაურის ნაშრომებიდან.

პროფესორ სარგის კაკაბაძის აზრით, "არის გადმოცემა, რომ შოთა დამეგობრებული ყოფილა ოდიშის მმართველ ცოტნე დადიანთან. შოთას მასთან ერთად ულოცავს მარტვილის მონასტერში, ისინი საკმაოდ ხშირად დადიონდნენ ერთად სანადიროდ, ერთი სიტყვით, გადმოცემა ადასტურებს, რომ შოთა დადიონდა სტუმრად ოდიშში".

ჭეშმარიტების დასადგენად ბ-ნ სარგისს საჭიროდ მიიჩნია, დადგინდეს ცოტნე დადიანის ვინაობა: თამარ მეფის დროს 1185 წელს ოდიშის ერისთავი იყო ბედიანი, ხოლო

მხახურთუხუცესად ამ დროს დაინიშნა ვარდან დადიანი... მარტვილის მონასტრის სატყონდიდლო ჯვრის მონასტრის წარწერაში იხსენიება დადიანი გიორგი. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ალაში არის ერისთავთა ერისთავის შერვლ დადიანის ჩანაწერები... იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ალაპების წიგნში მოხსენიებული არიან ცოტნე და ნათელი (ნათელა) დადიანი; ხობის მონასტრის ფრესკებს შორის წარმოდგენილი არიან ამშენებული ერისთავთა ერისთავი შერვლი დადიანი, დედოფალთა დედოფალი ნათელა (ცოლი მისი) და მცირეწლოვანი შვილი მათი ცოტნე.

იგი გვამცნობს, რომ "...შოთას დედა შოთას დაბადების შემდეგ მალე დაქვრივდა და შემდეგ გათხოვდა ლაზ ხუროთმოძღვარზე. საღაპარაყოფი ენად მათ ურთიერთშორის უნდა ჰქონოდათ უფრო მეგრულ-ლაზური". უკვე აღნიშნულ პერიოდში მთელ საქართველოში სახელმწიფო, სამწერლებო (რა თქმა უნდა, საეკლესიო) ენა ქართული იყო. ყველა საბუნ-დოკუმენტი მხოლოდ ქართულ ენაზე იქმნებოდა. მაშასადამე, შოთას დედა, როგორც ენახეთ, უნდა ყოფილიყო მეგრელი. ეს მტკიცდება ხსენებული თამარ მამლაქიანის ასულის სვანური დაბოლოების მეგრული გვარით. წარმოშობით ის იყო, მაშასადამე, ოდიშის მთიანი მხარიდან, სადაც გავრცელებული იყო სვანური დაბოლოებების (იანი, ანი) გვარები.

შოთა დედის მხრივ ოდიშურ სამყაროს რომ იყო დაკავშირებული, ამას ამტკიცებს მასალები დრანდელი მთავარეპისკოპოსის გრიგოლ პატარაისძეს შესახებ. მისი სურათი ჯვრის მონასტერში შოთას გვერდითაა მოცემული. ეს დრანდელი (ამის შესახებ პინგოროყვა გარკვევით სწერს, რომ იერუსალიმის ჯვრის მონასტერი ერთად განუახლებიათ შოთა რუსთაველის მიერ წარგზავნილ საგანგებო რწმუნებულს ანტონ ალავერდელს და ცოტნეს მიერ წარგზავნილ ჯერ გრიგოლ დრანდელს – მთავარეპისკოპოსს, ხოლო შემდეგ იოანე მთავარეპისკო-

პოსს), როგორც ეტყობა, წარმოშობით იყო მეგრელი და შესაძლებელია შოთას ახლო ნათესავიც დედის მხრივ...

...გამოჩინილი მეცნიერი პავლე ინგოროყვა აღნიშნავს, რომ "შოთას ახლობელთა შორის ჩვენ ვხედავთ ცოტნე დადიანს. შოთა და ცოტნე, როგორც ირკვევა, ოჯახურადაც ყოფილან დანათესავებულნი".

ხოლო შოთასა და ცოტნეს ნათესაობა უფრო დიდია, ვიდრე ოჯახური და ხორციელი ნათესაობა. მათ აკავშირებთ უკვდავი ნათესაობა სულითა. მათ აერთიანებთ სიყვარული სამშობლოსი. როდესაც ცოტნე დადიანი, სამშობლოსთვის თავგანწირული, მივიდა მონღოლებთან და მხრებშეკრული დაჯდა მეობრების გვერდით, იქ მას სამშობლოსათვის თავდადებულთა შორის დახვდა მოხუცი შოთა. პავლე ინგოროყვა მსჯელობს შოთას რუსთაველის ოჯახიდან მოღწეულ ძეგლზე – გიორგი მთავარმოწამის ხატზე, რომელიც წარმოადგენს XII-XIII ს.ს. ქართული ხელოვნების ნამდვილ შედეგს... ამ ძეგლზე, ზურვის მხარეზე დაცულია წარწერა შოთა რუსთაველის ოჯახის წევრისა, შოთას ძმის ტბელი გრიგოლის ძისა, რომელიც იყო მონაპირე სპასპეტი (მხედართმთავარი) პერეთის საერისთავოსი, თამარ მეფის დროს.

ძველი XX საუკუნის დასაწყისამდე ინახებოდა სამეგრელოში, ხობის მონასტერში, როგორც ცნობილია ხობის მონასტერი განახლებული და მოხატულია XIII საუკუნის დასაწყისში, ძველი საქართველოს გამოჩენილი მოღვაწისა და განთქმული გმირის ცოტნე დადიანის მამის – შერვლი დადიანის მიერ. ხობის მონასტრის კვლის მოხატულობაში გამოსახული არიან შერვი (შერვილ) დადიანი და მისი ოჯახის წევრები – "ერისთავთ-ერისთავი შერვილ დადიანი", "დედოფალთ დედოფალი ნათელი", "მე ამათი ცოტნე". ცოტნე მონასტრის მოხატვის დროს ემაწვილიყო ყოფილა. ფრესკაზე იგი წარმოდგენილია ათოლე წლის ემაწვილის სახით (მამის – შერვილ დადიანის და დედის ნათელის შუა).

გაცნობებთ, რომ გახლავართ ქვეყნის კონსტიტუციისა და საქართველოში საპრეზიდენტო მმართველობის შემოღების კონცეფციის ერთ-ერთი ავტორი და დამტკიცების ინიციატორი. 1995 წელს ვიყავი საქართველოს პარლამენტის წევრი (მაჟორიტარი დეპუტატი ქალაქ ფოთიდან) და მინისტრთა კაბინეტის ვიცე-პრემიერი. ცნობილია, რომ, როცა ამ წელს, საქართველოს პარლამენტმა არ დაამტკიცა საკონსტიტუციო კომისიის, ოთხი პოლიტიკური პარტიისა და საინიციატივო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კონსტიტუციის პროექტი, 9 აგვისტოს კენჭი ეყარა ჩემს, როგორც საქართველოს რეფორმებორთა კავშირის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილ ვარიანტს კონსტიტუციის 69-ე მუხლთან დაკავშირებით, რომელიც უმრავლესობის მხარდაჭერით გავიდა. ამან თავისთავად მოხსნა დაბაბულობა და 15 დღეში მოხერხდა ყველა კონსტიტუციური მუხლის შეთანხმება. ამრიგად, 1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კონსტიტუცია.

პირადი ტრავმების მიზეზით ხუთ წელზე მეტია ჩამოცილებული ვარ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საქმიანობას, მაგრამ 2007 წლის დეკემბერში, შექმნილი დაბაბულობის გამო, იძულებული გავხდი წამომეყენებინა საკითხი მოქმედი კონსტიტუციის მოთხოვნათა უხეში დარღვევის ფაქტზე, რასაც, სამწუხაროდ, სათანადო რეაგირება არ მოჰყოლია. 2008 წლის 10 იანვარს, საქართველოში ჩატარებული უკანონო საპრეზიდენტო არჩევნებიდან მეხუთე დღეს, კვლავ დავხვი კონსტიტუციის დარღვევის შედეგად წარმოქმნილი მწვავე დაპირისპირების მოგვარების აუცილებლობის საკითხი და წარმოვადგინე მისი დარეგულირების ჩემუელი ხედვა.

სამწუხაროდ, არც ჩემს ამ მცდელობას მოჰყოლია შედეგი, რამაც განაპირობა კიდევ დღევანდელი კრიზისული სიტუაცია. საქმის არსი შემდეგში მდგომარეობს: 2003 წლის დასასრულიდან მრავალჯერ უშუაშად დაირღვა კონსტიტუცია, მათ შორის 2008 წლის 5 იანვარს, როცა, კონსტიტუციის 70-ე პუნქტის მოთხოვნის

### საქართველოს ხელისუფლებას, საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალებს, აშშ-ს ელჩს, საქართველოში გაეროს წარმომადგენლობას, ევროსაბჭოს მისიას, ევროკავშირის წევრი ქვეყნების საელჩოებს, ვენეციის კომისიას ბაკურ გულუას განცხადება

უგულვებელყოფით, მასში ყოველგვარი ცვლილების შეტანის გარეშე, მხოლოდ პრეზიდენტის განცხადების საფუძველზე, ერთი წლით შემცირდა საპრეზიდენტო უფლებამოსილების ვადა და უკანონოდ დაინიშნა საპრეზიდენტო არჩევნები.

ამგვარი გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე პირს ან ორგანოს საქართველოს კონსტიტუცია არ იცნობს. აქედან გამომდინარე, 2008 წლის 5 იანვარს ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები არალეგიტიმურია და მისი შედეგები დაუყოვნებლივ უნდა გაუქმდეს. 5 იანვრის "არჩევნები" შეიძლება ჩაითვალოს მოქმედი პრეზიდენტისა და მისი კონკურენტების რეიტინგის თაობაზე მოსახლეობის გამოკითხვად და არა არჩევნებად.

მოქმედ პრეზიდენტს 2009 წლის იანვარში გაუვიდა კონსტიტუციით მინიჭებული საპრეზიდენტო უფლებამოსილების ვადა და უკვე მეოთხე თვეა იგი უკანონოდ ასრულებს პრეზიდენტის მოვალეობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა არა რეგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნა, არამედ შარშან უკანონოდ ჩატარებული არჩევნების შედეგების გაუქმება და მორიგი კანონიერი არჩევნების დანიშვნა.

შექმნილი იურიდიული კაზუსის გამოსწორება ძალუქს მხოლოდ ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც არაფორმალურად უნდა მიუღვას კანონით გათვალისწინებული პროცედურების შესრულებას – უნდა გააუქმოს უკანონო არჩევნების შედეგები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება, ან

დააფიქსიროს კონსტიტუციის რამდენიმე გზის დარღვევის ფაქტი. ამას, ცხადია, მოჰყვება თავისი პოლიტიკური და იურიდიული შედეგები.

კონსტიტუციის მოთხოვნათა სხვა უხეში დარღვევა და საერთაშორისო სამართლის მოთხოვნათა უგულვებელყოფა გახლავთ ის, რომ საქართველოს პარლამენტის ძველ შემადგენლობას 2003 წლის ნოემბრიდან 2004 წლის მაისამდე უკანონოდ გაუგრძელდა უფლებამოსილების ვადა. ცნობილია ისიც, რომ პარლამენტის ამ შემადგენლობამ განახორციელა ათოლე საკონსტიტუციო ცვლილება, რომელიც ასევე კანონგარეშეა და უნდა გამოცხადდეს ბათილად. ეს კი ნიშნავს 2003 წლისათვის მოქმედი კონსტიტუციის მოთხოვნათა ავტომატურად აღდგენას, რაც ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს პეროგატივა გახლავთ. ამ შემთხვევაში კი:

– უქმდება უკანონოდ შექმნილი საქართველოს მინისტრთა კაბინეტი, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების დამოუკიდებელი შტო. იგი ძირუფლად ეწინააღმდეგება 1995 წელს მიღებული კონსტიტუციის 69-ე საკანონო მუხლს, და რაც მთავარია, შეუსაბამობაში მოდის ხელისუფლების განაწილების ფუნდამენტურ პრინციპებთან;

– უქმდება ის აბსურდული უფლებამოსილებები, რომელიც ხელისუფლების დანარჩენი ორი შტოს სახიანოდ მიენიჭა საქართველოს პრეზიდენტს და რამაც განაპირობა სახელისუფლებო უფლებამოსილების დისბალანსი. ამან დრამატულად შეაჩერა ქვეყანაში დემოკრატიული

პროცესები და გაადვივა საზოგადოების უნდობლობა ხელისუფლებისადმი.

ამრიგად, არსებითად არასწორია ოპოზიციის მიერ წამოყენებული პრეტენზიები და თუ ხელისუფლება და მასთან დაპირისპირებული პოლიტიკური ძალები პასუხისმგებლობით არ მოეკიდებიან ამ განცხადებაში მოყვანილ არგუმენტებს, ქვეყანაში არ მოიხსნება დაბაბულობა და ჩვენ შეიძლება მძიმე განსაცდელის წინაშე აღმოვჩნდეთ. უკანონობა მხოლოდ უკანონობას შობს და მძიმე შედეგებზე პასუხისმგებლობა სწორედ მათ დაეკისრებათ.

აღნიშნულზე ქმედითი რეაგირება უნდა მოახდინონ ჩვენი ქვეყნის მეგობარ სახელმწიფოთა დიპლომატიურმა წარმომადგენლობებმა, საერთაშორისო ორგანიზაციებმა, ვენეციის კომისიამ კი მყისიერად უნდა დააფიქსიროს საკუთარი დამოკიდებულება ამგვარი შეუსაბამობისადმი, რაც კანონიერების ჩარჩოებს მიდმა აყენებს მთელ სახელმწიფოს და მის ინსტიტუტებს.

მთავარი კი მაინც ის არის, რომ განცხადებაში წამოტრიალი პრობლემური საკითხების მოსაგვარებლად გადადგმული თითოეული ნაბიჯი მოხსნის ყოველგვარ დაბაბულობას და გაანეიტრალებს საკითხების ძალადობრივი გზით გადაჭრის მსურველთა ძალისხმევას.

ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის არსებულმა განხეთქილებამ ჩიხში შევიყვანა. პროცესები უკვე იქნეს საშიშ სახეს და მათი თვითღიწობაზე მიშვება ახალი ტრაგედიული გამოცდის წინაშე დააყენებს საქართველოს.

ეს ყოველად დაუშვებელია. ამიტომ არის აუცილებელი, რომ მმართველმა პოლიტიკურმა ძალებმა და ოპოზიციამ, საერთაშორისო დიპლომატიურმა წარმომადგენლობებმა და ინსტიტუტებმა მხარი დაუჭირონ მდგომარეობის განმუხტვის მშეიდობიან, კანონიერ, რაც მთავარია კონსტიტუციური გზით მოგვარებას.

პატივისცემით, ბაკურ გულუა 08.04.09

# ხსოვნის სტრიქონები

ნაწევრებს მგერულ ენაზე შექმნილი ისტორიული პოემიდან "ბულათია", რომლის ავტორი გახლავთ თავდადებული მამულიშვილი და ჭეშმარიტი პოეტი დანიელ პავლეს ძე ფიფია, გთავაზობთ გაზეთ "ილორში". 113-ე წელი ილევა პოეტის დაბადებიდან. იგი 28 წლის ასაკში შეიწირა პოლიტიკურმა უამინდობამ – სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალული გულანთებული პატრიოტი 1924 წლის თებერვალში დააპატიმრეს იმის გამო, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს იყო ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის პასუხისმგებელი პროპაგანდისტი. დაპატიმრებისას დანიელ ფიფია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კურსზე სწავლობდა.

## დანიელ ფიფია

გედირთ ართი თავადიქ  
ხეს უღუ დიდი ყანწი,  
თქუ: "წესი და ჩოულობა  
ვათათი ქაკო ანწი.  
არბას მუგაშინუაფუ  
მუშა ღირგ ბრელი მოკო,  
დიდებუანი ტაბაკის  
ართი მითინი ნჯღვერი ოკო.  
პატრონიში ჭყოლოფუა  
ღვინი ქვანთ, ხორცი ზეპუ,  
თამადათ ქემორგუნა  
აფაქია ჩქინი პეპუ."  
"ბაღამი-რე, ბაღამი-რე!"  
არძო ართო რაგადანც,  
არძო კუნხის გერინელო  
პეპუს მეთიხანგამანც.  
მუჟამც მეჭყორდ რაგადქენი  
პეპუქ მაშინ თელი სტილცა:  
პატრონიფი მა დიფრინი  
სინთე ვამიდ ჯგირი თოლცა,  
ჭყანა ვარე ჯგეშობური,  
გური ვამორგუნ დო ჭეჟა,  
ვორდინ ინა ვავორქე,  
არძო თენემც იფურუა,  
მარა არძო ფთხულენთი დო  
ოკო დეგეჟაბულათი,  
თქვა-თქვანი დუცუ დუმარდით  
ყუმენულ გედირთათი.  
ასე ეოფითი ყანწი  
ეფუშა გურით ოხვამალი  
მიარე ხანც გარქებედას  
გურიელიხე დედოფალი!"  
დოხვამუ დო ქვანგამუ,  
იყუ შუმა გორჩქინელქე,  
ღერსით რე დოხვამუა,  
ბირაქ გერჩქინდ ოშინერქ:  
"უჩარდია,  
უნა კონი,  
ვაშუნდიდა  
მუშა მორთი!  
უნა კოდი ხარკაღე  
აშო მომიხაკაღე...  
ვარა გეფშეთა ოდა,  
ვარა ობჭეუმათი,  
ვარა რხინი თოლოლა  
ქემიბირუათი...  
ბეეშეია,  
ბეეშეია,  
ახალი დო ჯგეშია!"  
ბირა, მიცა, დოხვამუა,  
ალავერდი იშო-აშო,  
ყანწი ირთუ უმუხარცქო,  
შუმა ორე ირი ართო.  
მინი დიო ხერხელი რე,  
მინც ღვინი ქოკინდაფუ,  
მინი გვალო შუმილიორ –  
ღვინიშორი მუკიყვანთე.  
შუმიღვეფი ისოფუნა,  
არბა ართო ღაჭაღანც,  
არბა ართო ართიანც  
ყანწით ღვინც ახვამანც.  
იბირც, იბირც არბა ართო,  
ვარა არძო ირბაღდ.  
არძო იღვანც, შხუფინგნც  
ვეგეგინე ნარაგაღქ.

## ბულათია

ზე წამოღვა აქ თავადი,  
ხელში რომ აქეს დიდი ყანწი.  
თქვა: წესი და ჩეულებუა  
შეკასრულთ უნდა აწი.  
ახლა ყველას მოგვიხდება  
ბრძული სიტყვა შესაშური.  
ამ სუფრასაც სახახელის  
დასჭირდება მეთაური.  
ბატონისა წყალობანი  
ღვინო ხორცი არ გვაკლია,  
სჯობს თამადად ავირჩიოთ  
ჩვენი პეპუ აფაქია.  
"კარგია, – მიღად კარგია!  
პეპუ მოგვემსახუროს!"  
თქვეს და ფეხზე ადგომით  
ყველა ამას დასტურობს.  
როცა შეწვდა ღაპარაკი,  
პეპუმ სუფრას მოახსენა:  
"ბატონებო, მე დაგებრდი,  
ადარ მიჭრის თვალის ჩინი.  
სიმხნე არ მაქვს ძველებურად,  
მიმიძმს ჭკუის გამიხენაც.  
რაც ვიყავი აღარა ვარ,  
გეფიცებით ყველას თქვენა.  
მაგრამ რადგან ასე თიხოვთ,  
იყოს ახლა თქვენი ნება.  
თქვენსავე თავს დაუმაღლეთ,  
რომ წახვიდეთ მწკურვალეები;  
სავსე გულით, სავსე თვალით,  
დიდხანს, დიდხანს გეჟავდეს  
კარგად  
გურიელხე დედოფალი!"  
გამოსცალა, გადულოცა...  
ისმის ღეჟი და შაირი  
აქ ყანწების შეჯობრია  
სიმღერა ახნაირი:  
"შავი იყავ,  
შავო კაცო,  
თუ არ დაღვე  
რისთვის მოდი!  
შავი კოდი აავორე  
აქეთ მომიბრძენიე...  
ან დაველით,  
ან დაგებრდეთ,  
ანდა ღვინი  
თვალსვირად  
წარმოვიხახოთ...  
მაშ დალოე, დალოე,  
ახალი და  
ბეედიცა!"  
სიმღერაა, თამაშია,  
ალავერდი მეტისმეტად,  
ყანწი ბრუნავს ჯარასავით  
ღვინოს სვამენ განუწყვეტლად.  
ზოგი ისევ ფხიზელია,  
ზოგსაც ღვინო მოეკიდა,  
დამთვრალეებიც გაურია,  
სკამს რომ მწვარად დაეკიდა.  
ზოგი ისე მოუხვეწრობს  
მათა ქვევამ ვავაოცა  
აღარ წყდება არეულად  
სასმისების გადალოცვა.  
ამღერდება? – ყველა ერთად,  
ავეირდება? – ყველა უცებ.  
რას დაობს და რასა წერება  
ველარაფერს ვერ გაუგებ.

# მ ა ფ ა ლ უ

**4. მიხეილ კანკავას საპასუხო წერილი ბ-ნ კოტე კობახიძის პროვოკაციის გამო**

„ბ. კ. კობახიძის კორესპონდენციას (იხ. „სახალხო საქმე“ 540). არ შეიძლება გულგრილად შევხედო იმ მტკნარ სიტყვებს, იმ დასმენას, რომელსაც ეწვეა ავტორი ხათანაძო პასუხი არ გავცე; დაუსახავს რა მიზნად მეთიხველი საზოგადოებისათვის აღნიშვნა იონა მუნარაგვის დასაფლავების დღის, გ. კობახიძე ამასთან ერთად ეწვეა უსირცხვილო პროვოკაციას მკითხველი საზოგადოების წინაშე, როცა ეხება ჩემს, როგორც სამეგრელოს კულტურის მოტრფიალე ჯგუფი „მაფალუს“-ს წარმომადგენლის სიტყვას.

არ ვიცი, რად დასჭირდა ბ. კ. კობახიძეს ასეთი პროვოკაცია; რომ მისი წერილი პროვოკაციას ემსახურება ამის დამტკიცება დასაბუთება შეადგენს ჩემი საპასუხო წერილის მთავარ დანიშნულებას...

უპირველეს ყოვლისა ი. მუნარაგვის დასაფლავებაზედ ნათქვამი იყო, რომ მე სიტყვას ვამბობ, როგორც სამეგრელოს კულტურის მოტრფიალე ჯგუფი „მაფალუს“-ს წარმომადგენელი.

ფუძე, რომელზედაც იყო აგებული ჩემი სიტყვა, სწორედ ამით განისაზღვრებოდა: სამეგრელოს კულტურის გაფურჩქნისათვის, მისი აფეხვებისათვის იმედა თუ არა განსვენებული ამაგს, ხელი შეუწყო თუ არა განვითარება, გაშუქება? სწორედ ასეთი მარტივი რამე იქ მეოფ სუვევლასათვის ცხადი და ნათელი შეიქნა, ხოლო ბ. კ. კობახიძეს, არ ვიცი უღალატა სმენამ, მესხიერებამ, მეგრულის ენის უცოდინარობამ თუ განზრახ, – პროვოკატორის როლს კისრულობს, როდესაც სამეგრელოს კულტურის მოტრფიალე ჯგუფი „მაფალუს“-ს წარმომადგენელი აღიარა „მეგრულ ავტონომისტთა ჯგუფის წარმომადგენლად“.

ვკონებ რომ მას არც სმენა, არც მესხიერება და არც მეგრული ენის უცოდინარობა იმდენად არ პლანდობს; ის მხოლოდ შეპყრობილია მეოთხე ავადმყოფობით, როდესაც ასე ბოლიშვილებად ამხინჯებს იმ ჯგუფის დანიშნულება-მისწრაფებას, რომლის სახელით მომიხდა მე იქ სიტყვის წარმოთქმა. ბოლოს და ბოლოს რაშია საქმე? რა დედა აზრი გაატარა, რაში გამოხატა „სამეგრელოს ავტონომისტთა ჯგუფის“ წარმომადგენლის მისწრაფება ავტონომიისადმი?

აი რაში: ამოწვევ ბ. კობახიძის სიტყვებს „საზღვდურო წელი დაუღდა სამეგრელოს: საუკეთესო მკვლევარი მეგრული ენისა და მისი გრამატიკის შემდგენი პრ. იოსებ ყოფშიძე გარდაიცვალა; ენერგიით სავსე ჭეშმარიტების მაძიებელი საპროფესოროდ გამზადებული ახალგაზრდა მეგრული სილიბისტრო ლომია ამავე წელს გარდაიცვალა“ და ახლა კი მესამე უდიდესი მსხვერპლი: გარდაიცვალა სამეგრელოს საუკეთესო შვილი ი. მუნარაგია, რომელმაც ყველა ევროპიულ-მეცნიერ მკვლევართ და პოლიტიკურ მოღვაწეთ ვინც კი კავკასიაში ჩამოვიდოდა ან კავკასიის ცხოვრებით დაინტერესებულნი იყო, განსაკუთრებით ფრანგ მეცნიერებს გააცნო სამეგრელოს წარსული და აწყო ვითარება და საქმით სცილობდა მეგრულ ხალხისათვის წარმატება მოეპოვებია. კარგი და კეთილი; და განა ეს ადვილი არ ადასტურებს იმ დებულებას, რომ ი. მუნარაგვის შეძლების და გვარად თავისი წვლილი შეუტანია სამეგრელოს კულტურის გაშუქებაში განა ეს ადვილი არ ჰყენს შუქს იონა მუნარაგვის, როგორც მეცნიერს, კულტურულ ნიადაგზე მყოფს, რომელ-

მაც ასეთივე გზით საშუალება მისცა საზღვარგარეთელ მეცნიერებს, როგორც იყვნენ მაგ. ჟან მურიე, პროფესორი ვაგნერი, გი დეროპანი და სხვები, რათა ისინი გაცნობოდნენ სამეგრელოს წარსულს და აწმყოს? მაგრამ ბ. კობახიძე ასე არ მსჯელობს, ის განაგრძობს: „მკითხველი ალბათ მიხედება (ზემოთ მოყვანილ ციტატიდან), თუ რა სურს „მაფალუს“-ს. მისი მიზანია სამეგრელოს თავისუფლება მოუპოვოს, აშკარად და არა ჩანს მხოლოდ ამ თავისუფლების ფორმა, დამოუკიდებლობა და ავტონომია“. აი ზემოთ აღნიშნულ ციტატიდან ასეთი სილოგიზმი გამოჰყავს ბ. კ. კობახიძეს; ასეთია მისი ლოლიკა, რომელშიაც მსჯელობის კანონები სრულიად არ არსებობს. ცხადია, რომ ეს აშკარა პროვოკაცია, პროვოკაცია „კერძო ცნობების“ იმედებზე აცმული, თუნდაც მას ჯერჯერობით არ ძალუქს „მაფალუს“-ს „მისწრაფებათა კრიტიკული განხილვა, რადგან მათი მიზანი და სამოქმედო გეგმა მთლიანად არა მაქვს გაცნობილი და მეორეც, ამ საკითხის განხილვის განსაზღვრული კვლევა-ძიების მეთოდებით შედგენილი განსაკუთრებული წერილები ეჭირება“-ო.

მკითხველი ალბათ აქაც აღვივლად მიხედება თუ რა სიმართლის მდაღადებელი და ლოლიკის პატრონია ბ. კობახიძე. „ჯერ შვილი არ დაბადებულაო და აბრამს კი არქმევდნენო“. ჯერ შენ შენი „განსაზღვრული კვლევა-ძიების მეთოდების საშუალებით“ „მაფალუს“-ს მისწრაფება გაიგე, რომლის გაგებამ ასეთი წარამარა დაგაწვინა და შემდეგ კი, მხოლოდ შემდეგ გამოარკვეე იონა მუნარაგვის პოზიცია. რაც შეეხება „მაფალუს“-ს როგორც „სიოქლურის მორიგ მახეს, რომელიც ქართველი ერის სხვადასხვა ტომთა შორის მტრობის ჩამოგდებაში გამოიხატება“ ამის გამო მოგახსენებ, ბ. კ. კობახიძე შემდეგ: სიოქლურის მორიგ მახე გამოიხატება არა „მაფალუს“-ს წმინდა მისწრაფებაში, არამედ ისეთი კორესპონდენციების განხორცილებაში, რომლის ერთი საუკეთესო ნიმუშს გვაძლევთ თქვენი წერილით“

მ. კ. კ. წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1919, 8 ივნისი.

ბის ერთი ნაწილი დაინტერესდა ამ მიზნებით და მუშაობაც დაიწყო და ჯგუფიც საკმაოდ გაიზარდა, მისმა მეთაურებმა, სტეფანე გაგუას ხელმძღვანელობით, ფრთხილად და ოსტატურად მისცეს ამ მიმდინარეობას „პოლიტიკური ხასიათი“. თავის, დღემდე ფარულ ზრახვებში ჩაიყოლიეს ბევრი ახალგაზრდობა, მიუხედავად მისი პარტიული შემაღვანელობის სხვადასხვაობისა, „მაფალუს“ ერთი ნაწილი დღეს მოითხოვს კულტურულ „ეროვნულ“ ავტონომიას და სკოლებში მეგრული ენის სწავლის (?) შემოღებას, მეორე ნაწილი კი, არ კმაყოფილდება ამით და მოითხოვს ტერიტორიულ-პოლიტიკურ ავტონომიას! „მაფალუს“ წევრებმა უკვე დაიწყეს სიარული ხალხში და წმინდა პროვოკატორული მუშაობა – ქართველ მოქმედა შორის შუღლისა და მტრობის თესვა. ერთ დროს საქართველო და ქართველი ხალხი უფსკრულის პირამდე მიიყვანეს ფეოდალებმა თავისი, ერის ორგანიზმის მომწამლავ, შხამიანი მუშაობით. დღეს კი ამასვე ხნადის ხსენებული ჯგუფი, სამეგრელოს ხალხი შორს არის ყოველგვარ „კუთხურ ნაციონალიზმისაგან“, მაგრამ მის გაგრძელებულ მუშაობას აბამენ თობობას ქსელს.

ეს მიმდინარეობა არა მარტო პათოლოგიური მოვლენაა, ის თანაც წმინდა რეაქციონური და კონტრევოლუციონურიცაა. ჩვენ მიუვტოვოთ ჩვენი მეგრული ამხანაგების ყურადღებას ამაზე და ამაზედ მოუწოდებთ მასთან, როგორც ასეთთან, მკაცრ ბრძოლისათვის.

უნდა აღვნიშნო ის გარემოება, რომ გიმნაზიაში ბ-ნ სტეფანე გაგუა მოწაფეებს მეგრულად ასწავლის და, როგორც გაიგე, მეგრულსა და გურულ ბავშვებს ჯგუფებად ჰყოფს. იმასაც ღაპარაკობს რომ თითქოს მას ფარული დირექტივები მიეცეს ამ მხრივ თავის თანამოაზრე სოფლის მასწავლებელთათვის...


დასასრულ დიცი უნდა აღვნიშნო, რომ „მაფალუს“ პარტია საჭიროებს და ეძებს ავტორიტეტულ პირებს, რომელთაც ხალხში გავლენა აქვთ, და ისინიც ასახელებენ მთელს რიგს გამოჩენილ ამხანაგებისას – დამოუხმებელი კრების წევრებს, - რომელთაც, რასაკვირველია, არავითარი დამოკიდებულება ამ „პარტიასთან“ არა აქვთ. მე გადაჭრით ვამბობ, რომ მათი სახელებით სარგებლობენ ეს ვაჟბატონები, რითაც ხალხში ერთგვარ ინტერესს ჰქმნიან თავიანთ პროვოკატორულ საქმისადმი.

ყველაფერი იწყება პატარა რამიდან, და ეს „პატარა რამე“ შეიძლება მომავალში ისეთ ფაქტორად გადაიქცეს, რომელიც დიდ საფრთხეს უმზადებს მთელ ქართველ ხალხს. ამიტომ შესაფერი დონისიებანი უნდა იქნას მიღებული ამ თავითვე.

შ. ჩოჩია  
წყარო: გაზეთი „ერთობა“, 1919, 28 ივნისი.

კომენტარი: როგორც ვხედავთ, შ. ჩოჩია ძირითადად კ. კობახიძისა და ჭორების გავლენას განიცდიდა, მაგრამ იგი უფრო მკაცრი და დაუნდობელია. შ. ჩოჩია არ უარყოფს „მაფალუს“ და სტ. გაგუას კულტურულ საქმიანობას. იგი სტ. გაგუას ხელმძღვანელობით მოქმედ „მაფალუსში“ გამოაყოფს ახალგაზრდობის ექსტრემისტული ჯგუფის უკიდურესად „რეაქციული“ ფრთის კონტრევოლუციურ მუშაობას. მაგრამ შ. ჩოჩიასაც კ. კობახიძის მსგავსად, ვერ მოაქვს კონკრეტული მამხილებელი მაგალითები.

# სამეგრელო და სვანეთი



ამ წიგნის ავტორის, კორნელი ბორჯიძის სამსახურებრივი კარიერა კავკასიაში დაიწყო. იგი ჯერ მთავარმართებლის კანცელარიაში მუშაობდა, შემდეგ კი (1854 წელს) სამეგრელოს დედოფალთან მიაგლინეს მიწერ-მოწერის საწარმოებლად და მისი შვილების აღზრდელად. 1858 წელს დაინიშნა სენაკის ოლქის უფროსად, სადაც 1867 წლამდე იმსახურა. სწორედ აქ გაეცნო იგი სამეგრელოს მოსახლეობის ყოფას, რომელიც საინტერესოდ აღწერა თავის წიგნში. ბორჯიძის მოგონებებში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ოსმალეთის ჯარების მიერ სამეგრელოს აწიოება, რომელიც შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა აღაგმეს.

## კორნელი ბორჯიძე

სახლთუხუცესი გრიგოლთან მიიჭრა და სთხოვა: იარადიანი ხალხი მომაშველე, რომ აჯანყებული ხალხი დაეპყრო. მაგრამ გრიგოლმა აუხსნა: ინსტრუქციაში ისეთი მუხლი არ მიწერია, რომ ყოველ შენს მოთხოვნას მხარი დაუჭიროვო. ხოლო მართალი ვინ არის – შენა თუ ხალხიო, მხოლოდ დედოფალს შეუძლიათ მისი გამორკვევა და ამიტომ, სხვა გზა არ არის, მის დაბრუნებას უნდა დაეუცადო. სახლთუხუცესი იძულებული შეიქნა სალხინოში მუშაობა შეეჩერებინა.

ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელს სამეგრელოს. ყოველ მებატონის მამულში მაშინ, ცოტათ თუ ბევრათ, იგივე ხდებოდა, რაც ხდებოდა მთავრის მამულში. ყოველი მებატონე ცდილობდა, რაც ომისაგან ზარალი ნახეს, გლეხების ოფლით აენახლაურებინათ. ამიტომ გლეხები ყურმახვილათ გამოეხმაურენ სალხინოში დადებულ ფიცს; მათ შორის დამოხმდნენ მთავრის ყმების ბანაკიდან და ურჩევდნენ მათს ფეხის ხმას აჰყოლოდნენ; აქა-იქ თავს იყრიდნენ, ამ კრებებზე ფიცსა სდებდნენ, და ბევრსა სცდილობდნენ თვითონ გრიგოლიც, ეპისკოპოსიც, ერთობლივ ყველა მებატონენიც, მაგრამ ვერავინ შესძლო შეეჩერებინა მოხვედრას მთავრის მიმართული მისხანე სახე გლეხთა საერთო აჯანყებისა.

1857 წლის აპრილის გასულს დედოფალი ნინო გრიგოლთან ერთად პეტერბურგიდან ტფილისში ჩამოვიდნენ, სადაც ამ დროს ქუთაისიდან კოლუბიაკინი და მე ვიყავით ჩასული. პირველათვე ჩემი დიდატატივცემული ნინო გრიგოლთან ვინახულე. ჩვეულებრივ ტკბილად დამიხვდა, ბევრი ამბავი მიაშობ პეტერბურგზე, ხელმწიფის კურთხევაზე, და ერთბაშად თავისი დაპარაკის ეს თემა ამ სიტყვებით შეწვიტა:

– მართლა, წარმოიდგინეთ, ნიკოლოზ პეტრეს ძე კოლუბიაკინი გუშინ კატოსთან (ე.ი. დედოფალ ეკატერინესთან) იყო და არწმუნებდა სამეგრელოში აჯანყებას. კაცს სწორედ ისეთი ფიცის წარმოდგენა უნდა ჰქონდეს, როგორც ნიკოლოზ პეტრეს ძეს აქვს, რომ გამოიგონოს ასეთი ამბავი, – სიცილითა თქვა გრიგოლთან.

მე ამაზე მოვახსენე, რომ ქალაქ ქუთაისში, ე.ი. სამეგრელოს მეზობლად

ვცხოვრობ და მეც იგივე გავიგონეთ.

– ეს ყოველად შეუძლებელია, მერწმუნეთ. ალბათ ცოტა-რამ უწესობა მოხდა და გრიგოლმა ვერაფერი მოახერხა. მაგრამ დარწმუნებული ვახლავართ, საკმარისია კატო (ეკატერინე) ერთი კი გამოჩნდეს, რომ ყოველივე დამშვიდდეს. ხალხი აღმერთებს დედოფალს...

საბრალო ქალს სრულებით გულწრფელად სწამდა თავისი ნათქვამი და მე, რა თქმა უნდა, არ აუხიბდი, არ ვცდილვარ სულ საწინააღმდეგო შემტკიცებინა.

და როცა ამის შემდეგ დედოფალი ვინახულე, ამაზე ხმა-კრინტი არ დამიძრავს. მაისში ეკატერინე ტფილისიდან წავიდა სრულიად დამშვიდებული, მის ყურამდე მისული ხმა ორტის ოდენად არ დაუჯერებია. კოლუბიაკინი და მე ქუთაისში ივნისის დამდეგს დავბრუნდით.

როცა დედოფალი თავის სამფლობელოს ზღვარს მოვიდა, სოფელ კულაშიში სამეგრელოს თავადაზნაურობა დაუხვდა, გრიგოლისა და ჭყონდიდელის მეთაურობით. დედოფალმა შეამჩნია, რომ მის დასახვედრად მოსულთა შორის ბევრი მაღალი წოდების პირი აკლდა და თავსაზარი დაეცა, როცა გაიგო, რომ მის სამთავროში სრული ანარქია სუფევდა. გლეხებს თავიანთ სახლებისათვის თავი დაუნებებიათ, მსახურნი მებატონეებს გაქცევიან და გლეხების მრავალრიცხოვანი ბრბოები სამეგრელოს ყველგან მისდებოდა. სახლთუხუცესმა თავადმა დავით ჩიქოვანმა დედოფალს სალხინოში მომხდარი ამბავი მოახსენა და, რა თქმა უნდა, თავს იმართლებდა. გრიგოლი მინორულის კილოთი ამოეფარა თვისდამი მოცემულ ინსტრუქციას, რომელშიაც გათვალისწინებული არ იყო, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო სალხინოს საქმეში; გრიგოლსა და დედოფალს შუა ცხარე დაპარაკი გაიმართა და დედოფალმა გამოუცხადა – შენგან სამეგრელოს მხოლოდ იმავე დამშვიდებულ მდგომარეობაში ჩავიბარებ, როგორშიაც ჩაგაბარეო; თუ ასე არ მოქცეულხარ, შენს ამბავს ყველაფერს ხელმწიფე იმპერატორს შევატყობინებო.

ამ ფიცხელ წალაპარაკებს შემდეგ დედოფალმა იახლა მთელი გუნდი თავადებისა და შვილებიანად წავიდა

გორდში. აქ თავადები დაითხოვა და დააფიცა მტკიცედ შეერთებულიყვენ ერთი-მეორეში, ერთი-მეორისათვის მხარი დაეჭირნათ და მთელის ძალდონით ემოქმედნათ აჯანყების ჩასაქრობად: – ამით ყველაზე უკეთესად დაამტკიცებთ მცირეწლოვან მთავრის ერთგულებასაო. მაგრამ როცა ყველანი წავიდ-წამოვიდნენ და თვითონ ეკატერინე მარტო თავად ჩიქოვანთან დარჩა, მალე დარწმუნდა, რომ მარტო გრიგოლის მიმართ მუქარით არაფერი გამოუვიდოდა. აუარებულ მთხოვნელები აღარ ასვენებდნენ; ყველა მხრიდან მეტად საშიში ამბები მოდიოდა, ეკატერინე თვითონ უნდა გამოსულიყო და ემოქმედნა. იმანაც მოიწვია ჭყონდიდელი და იმასთან ერთად წავიდა სალხინოში, სადაც ყველა გარშემო სოფლებიდან ხალხს მოეყარნა თავი და სადაც გაიმართა მოლაპარაკება. მეტად მძიმე და საქმის გადამწყვეტი წუთი იყო. დედოფალს რომ დაეწუნებინა თავისი სახლთუხუცესის მოქმედება, ან და ეს სახლთუხუცესი სრულებითაც რომ დაეთხოვნა, რამდენიმე მისი მოხელე, განსაკუთრებით ათვალისწინებული ხალხისაგან, რომ დაესაჯა, ესენი რომ მსხვერპლად შეეწირნა, – გლეხების გულს მოთვებდა და თვითონაც მოკვებული დარჩებოდა. ასეთს გაჭირვების უამს თავის ზარალის ანახლაურებისათვის კი არ უნდა ებრუნა, არამედ უნდა გაედო თავისი სალარო და სალხინოსთვის განებნია რამდენიმე ათასი თუმანი. ეკატერინემ იცოდა, რომ როგორ გაანადგურა ხალხი, ხედავდა როგორ მოდიოდნენ და მის ცხენს ფეხებში უვარდებოდნენ როგორც ჩვენის, ისე ოსმალის ჯარების რეკვიზიციებით შეწუხებული მცხოვრებნი, და იმის მაგიერ, რომ ეს ხალხის უბედურება და გასაჭირი ყოველგვარ შეღავათებით დაეშუშებინა, როგორც ამასა შერებოდნენ მეზობელ იმერეთსა და გურიაში, სადაც ხალხი სამეგრელოზე ნაკლებათ იყო დაზარალებული, – დედოფალმა ომის გათავების შემდეგ სხვა უკეთესი ვერა მოიფიქრა რა და ხალხს სამუშაო ბეგარა დააკისრა. ეს თავისი შეცდომა არ შეეძლო შეგნებული არ ჰქონოდა, და მისი გამოსწორება შეიძლებოდა მხოლოდ და მხოლოდ გლეხებისათვის უხვის დახმარების აღმოჩენით. კლეხები მაშინ დამშვიდდებოდნენ და არეულობის მეთაურებსაც თვითონვე გასცემდნენ.

მაგრამ დედოფალმა, სამწუხაროთ, ეს გზა არ აირჩია; ეგონა, ასეთი მოქცევა შეუნდობელ დათმობად ჩამოერთმეოდა აჯანყებული ყმების ბოლოს წინაშე; მისის აზრით, ეს ბრბო ძალით უნდა დაემორჩილებინა, და გლეხებთან მოლაპარაკების დროს, სახლთუხუცესი არამც თუ არ მოიშორა თავიდან, პირიქით მას გლეხების ბრალმდებლის როლიც კი დააკისრა. ხმამაღალი ყაყანი, რომელმაც ლანძღვა-გინების ხასიათი მიიღო, ვერაფრით გათავდა. სალაპარაკოდ ჭყონდიდელი გამოვიდა, ბრძანა – ხალხის წინაშე ხატი გამოეხვეწებინათ, დარიგებას აძლევდა, მაგრამ მისმა სიტყვებმა არ გასჭრა და მხოლოდ მისი ღირსება ძირს დაეცა; გლეხები ხმამაღლა პირში ეუბნებოდნენ ჭყონდიდელს – შენ სულიერი მწყემსი კი არა, დედოფლის მსახურ ხარო. ბოლოს საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ დედოფალს სალხინოში აღარ დაეგომებოდა, მის ამაღიდან რამდენსამე კაცს სცემეს და იძულებული შეიქმნა საჩქაროთ გასცლოდა იქაურობას და წასულიყო თავის ნათესავის კნენა მენიკი დადიანის სასახლეში, ქვიშხორში. აქვე

მასთან მივიდნენ გრიგოლი და კონსტანტინე.

საქმე საშინლად მწვავედებოდა, და, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე მომავალი აუცილებელ უბედურობის უამს, დედოფალს თვალწინ ნათლად წარმოუდგა მთელი თავისი უმწუბობის სურათი. მიხვდა, რომ თუმც აჯანყება სულ უბრალო გარემოებამ გამოიწვია, მაგრამ რაკი ეს აჯანყება ძალიან გაიზარდა და სერიოზული სახე მიიღო, მას დაერთო შუღლი, რომლის სათავე იყო სამეგრელოს ყველა კლასების იძულებული და მტრობა გარდაცვალებული მთავრის მეტად მკაცრ და ანგარებისმოყვარე რეჟიმისადმი. დედოფალს თავის ქმარის დანაშაულისათვის უნდა ეგოპასუხი და ახლა იცოდა, თუ რა სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების მიერ იყო გამართული მის წინააღმდეგ ინტრიგები იმისათვის, რომ იგი ბრმად მომხრე იყო თავისი ქმრის რეჟიმისა. მისი მოწინააღმდეგე პარტია მრავალრიცხოვანი იყო.

წინ იდგა ჯგუფი ბატონიშვილებისა (დადიანებისა) – სამის ძმისა – გიორგისა, პეტრესი და ბესარიონისა, "დიდი" ნიკოს შვილებისა. მათი მამა ოდესღაც მარჯვენა ხელი იყო მთავრის ლევიანისა, მისი ვეზირი იყო მრავალწლის განმავლობაში თვითმპყრობელურად და უკონტროლოთ მართავდა სამეგრელოს; დავითი ჯერ ისევე მამის სიცოცხლეშივე გახდა მთავრად და მაშინათვე ჩამოაყენა "დიდი" ნიკო და აქედან გაჩნდა სიძულვილი მისდამი ნიკოს ოჯახისა. სამი ვაჟი მამის შურს იძიებდა და იმას-და ცდილობდნენ, მთავრისათვის ემტროთ და მისი სახელი გაეტეხნათ ხალხის თვალში. მათს მძულვარებას მთავარ დავითისადმი უერთებდა თავის მძულვარებას მთავარი აფხაზეთისა, თავადი მიხეილ შერვაშიძე, ნიკოს უფროს ვაჟის გიორგის ქალის ქმარი; სარგებლობდა ყოველ მარჯველ შემთხვევით და ისედაც ორგულ ვასალებს მთავრის წინააღმდეგ ამხედრებდა. დავითის მიერ მოწოდებულ ადმინისტრაციას ამ ბატონიშვილების მამულებში ყოველგვარ წინააღმდეგობას უწევდნენ. ეს ხომ ასე იყო, მაგრამ ყოველი საერთო საქვეყნო ღონისძიებანი მთავრისა დაწუნების საგნად ხდებოდა და ნიკოს შვილები და მათი აგენტები დავითის მოქმედების შესახებ ათას რასმე ცუდს იგონებდნენ, რომ ხალხი მის წინააღმდეგ უფრო აემხედრებინათ. და იმავე დროს ეს "სამი მუშკეტერი", როგორც იმათ ეძახდა დავითი, საოცარის მოხერხებით თამაშობდნენ თავდაბალი კარისკაცების როლს და მოქარულების სიტყვებით გამოხატავდნენ თავის უსახლვრო ერთგულებას მთავრისადმი. მე თვითონ არაერთხელ მიყურებია მათი შეხვედრისათვის დედოფალთან და მათი მსახიობობა მეტად მომწონდა. ერთ-ერთი ძმა, პეტრე, დედოფალს პეტერბურგშიც კი წაჰყვა ხელმწიფის კურთხევაზე და ყველას ისე აჩვენებდა თავს, თითქოს მცირეწლოვან მთავარს იმაზე გულთაღი და საყვარელი ნათესავი არც კი ჰყოლოდეს. გლეხთა აჯანყება, ცხადია, საზარალო იყო ამ მსხვილ მემამულეთათვის; მაგრამ ესენი არამც თუ არა ცდილობდნენ დაეცხროთ როგორმე აჯანყებულნი, ის კი არა თავის აგენტების საშუალებით უარესად აღვივებდნენ ამ ჯანყს, რადგან წინდაწინვე დარწმუნებული იყვნენ, რომ გლეხებს რუსის მთავრობა ადრე იქნებოდა თუ გვიან აჰლაგმავდა და აჰლაგმავდა მთავრის ხელისუფლების საზიანოდ.

გაგრძელება იქნება

# დიდი მუხრანი 80 წლისაა

დრო ელვის სისწრაფით მიქრის, წუთი-სოფლის წამიერება ყველაზე კარგად გათავისებული ხანდაზმულ ადამიანს აქვს. მოიხედავ და ყველაფერი გარდასულია და ოღონდ მოგონებადღა რჩება. ასე მგონია, გუშინ იყო, პოეტს რომ სამოცდაათი წელი მივულოცე, დღეს კი მუხრანმა ოთხმოც წელს მოუყარა თავი... უნებლიედ მაგონდება მისი მშვენიერი ლექსი:

გაირბენს კიდევ, დიდი-დიდი, რვა – ათი წელი  
(არც კი!) –  
მოგენატრება (პირქუშიც კი!) დღე  
დღევანდელი,  
ვით ყვითელ ფოთოლს  
საკუთარი  
წარსული  
მწვანე

ღიახ, დღეს პოეტა შორის ჭეშმარიტ და უპირველეს პოეტს, პოეტთა საუფლოს უგვირგვინო მეფეს 80 წელი შეუსრულდა. მართალია, ის, ალბათ, თავის ჭაბუკობას იგონებს და მისტირის, მაგრამ ერთი უეჭველია, მის უკვდავ სულს და გამაოგნებელ პოეზიას არც როდის შეეპარება სიყვითლის ფერი და ვიდრე ქართველი ხალხი იარსებებს ამ ქვეყნად, იგი „სიმწვანეს“ არ დაკარგავს.

მადლითმხედმა ადამიანი ურთიერთ-საწინააღმდეგო საწყისებით შექმნა, სულით და ხორცილ შეამკო. ამიტომაც სრულქმნილი კაცი იშვიათად იბადება ქვეყნად, უნაკლო არსებანი სანთლის საძებნელნი არიან. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მუხრან მაჭავარიანი გამოირჩევა როგორც სულიერი, ასევე ფიზიკური სრულყოფილებით. როცა მას უყურებთ, ასე გგონიათ, ბიბლიური პერსონაჟი გაცოცხლდაო, თავისი ბრვე ტანით, მაღალი შუბლით, გამჭრიახი, სიკეთის მფრქვეველი თვალებით და ბუბუნა, ომახიანი ხმით; ხოლო როცა მის პოეზიას ეცნობით (ყმაწვილი ხართ, ჭარმაგი თუ მოხუცი), თუ ოდნავ მაინც გაქვთ მშვენიერების აღქმის უნარი, არ შეიძლება არ განგაცვიფროთ უსახდლოდ მომადლებულმა ნიჭიერებამ.

უპირველესი ნიშანდობლობა მუხრანის პოეზიისა არის უბრალოება. ქართულ პოეტურ სამყაროში ვერ დამისახელებთ ვერცერთ პოეტს, რომელსაც იმ დონეზე წარმოეჩინოს საღას (მარტვილი) ეს-სურტიკური განცდა, როგორც ეს მან მოახერხა. მას აქვს გასაოცარი ნიჭი ყოფით, ცხოვრებისეულ დეტალს, რომელსაც ჩვენ ყოველდღიურად ვხვდებით, უადრესად დიდი აზრობრივი დატვირთვა და ემოციური განცდის მუხტი მიანიჭოს. გაეცხსნეთ თუნდაც ეს ლექსი:

– არაყი?  
– ღული!  
– ერთი?  
– ერთი!  
– ინებეთ!..  
– გამადლობთ! –  
ვვადები კუთხეში  
გარეთ წვიმს...  
...

გნატრობ...  
სასაუხმესა და კაფეში დახლიდარსა და ცხოვრების ერთფეროვნებით გაბეზრებულ პოეტს შორის იმართება დიალოგი, რაც გადმოგვცემს ყოფის მღორე მდინარებს... მარტოსული პოეტი, კუთხეში მიუყუელი, ეულობის განცდით შეპყრობილი ნატრობს საყვარელ არსებას, სწავლია მისი ხილვა, რაც ქვეცნობიერად დიდ წუხილს იწვევს მასში. ამ განცდას აძლიერებს წვიმიანი ამინდი და, რაც მთავარია, მრავალწერტილი, რომელიც პოეტის გამოუთქმელ სევდას გადმოგვცემს. ერთი სიტყვით, იქმნება პოეტური კონტექსტი, უადრესად ტევადი, ადამიანის სევდას და მარტოობას საოცარი უმშაულობით რომ გვიხატავს.

თუნდაც პოეტის ერთობ პოპულარული ლექსი მოვიხსნათ:

გარეთ ხმაურობს წვიმა...  
ოთახს ანათებს ღამმა...  
– პეტუშა გახსოვს?  
– იმე!  
– რა ბიჭი იყო!..  
– ააა!

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ქართულ პოეზიაში არ მოიძებნება მეორე ნიმუში, რომელიც ამგვარი უმშაულობით, ადამიანურობით, დინჯი სასაუბრო ინტონაციით აღწევდეს სიკვდილის გარდაუვალობისა და წუთისოფლის ამოების გამო ადრეული შემადრწუნებელი გრძობის ბუნებრივად აღქმას და განცდას. ის წუხილი და დარ-

დი, ახლობელი, კარგი „ბიჭის“ სიკვდილით რომ არის გამოწვეული, გადმოცემულია ორი ადამიანის ღამის შუქზე ინტიმური დიალოგით, რომელსაც თან სდევს წვიმის გამაღიზიანებელი ხმაური. მაგრამ გასაოცარი ის გახლავთ, რომ პოეტი თავის ამოსათქმელ გულისწუხილს იმერული კილო-კავისთვის დამახასიათებელი ორი შორისდებულებით – „იმე“ და „ააა“-თი ახერხებს, რაც სიკვდილის შიშს, კაცობრიობის არსებობის მიუღწეველ მანძილზე რომ იწინს თავს, ერთგვარად აუფერულებს და ჩვეულებრივ მოვლენად აღგაქმევინებს.

აქვე უადგილო არ იქნება შევნიშნოთ, რომ მუხრან მაჭავარიანის ფიქრით ეს პრობლემა ასე იოლად გადასაჭრელი არ არის და ტიალი სიკვდილი, ჩასაფრებული, ყველა ჩვენგანს ყოველ წამს თვალვხდია მოგმწერებია.

მე მინდა სიკვდილს სიმღერა წავაფარო, ამაოდ ვშვრები...  
საფლავებთ თვალებივით ახელს სასაფლაო,  
ხორცს  
იხვეწებიან ძვლები.

სხვათა შორის მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში ეს სტროფი ერთ-ერთი გამონაკლისია, რომელიც მისი ლექსის სისადავის სტრუქტურას არ მიესადაგება.

სიცოცხლეს დახარბებული პოეტის ბუნება მას მუდამ უბიძგებს ძიებისაკენ, ჭეშმარიტების ამოცნობისა და ადამიანის ცხოვრების არსის ამოხსნისკენ. ის მუდამ ეძებს: წარსულში ეძებს, აწმყოში ეძებს, მერმისში ეძებს, აკვანში ეძებს, კუბოში ეძებს. ერთი სიტყვით, რაღაცას ეძებს... ამ ძიებას იგი საკუთარი თავის შემეცნებამდე მიჰყავს, რადგანაც რწმუნდება, რომ პასუხს „ვერავინ ვეტყვის, არაფერ იცის, – თვინიერ სისხლის შენივე სისხლის“. ამიტომაც ის ქრისტიანი თუ ადმოსავლელი მისტიკოსივით მილიანად საკუთარ თავში იძიება, თავის სულში პოეზებს ჭეშმარიტებასაც და მშვენიერებასაც: „ანდა რას ვეძებ! რას ვიპოვნი! რა დამრჩა გარეთ!“ – აცხადებს პოეტი და დასძენს – „გაზაფხულია უფრო დიდი როდესაც შიგნით“.

ამ „მე“-ში და სულიერ სამყაროში ძიებამ იგი ზნეობრივი პრობლემის წინაშე დააყენა. მას ადარდებს ქართველი კაცის ზნეობრივი დაცემა, საზოგადოებაში მომეტებული „ურთიერთ შეუღლი“, სიწუქე და შური, რომელმაც „დაღუპა ქვეყანა“. კიდევ უფრო დასაგმობია: სხვათა არ დაფასება, მოყვასის გამეტება, ბრიყვის აღზევებით გახარება და მისით, რაც ქვეყნის მომავალს ავებდითა და დატყდება თავს. აბა, მოვუსმინოთ პოეტს: „დორსებას სხვისას კვლავაც რომ ვერ გგრძნობთ, მას ცოცხალ საფლავს რომ ვუთხრით ახლაც, სამშობლოს ჩვენი რომ გვიჯობს ეხო, რეგვენი თუა – ის რომ გვსურს მაღლა, – ოტიავ ჩემო და ჩემო რე-ხოვ, – ეს გზა რას გვიზამს, – იმასაც ნახავთ!“ პოეტის წინასწარმხედველობა აღსრულდა, ამ გზამ რომ დღევანდელიობამდე მიგვიყვანა, ეს უდავოა.

შეიძლება მავანს გაუკვირდეს, მაგრამ სრული რწმენით ვაცხადებ, რომ მუხრან მაჭავარიანი ნათელმხილველის ნიჭით არის დაჯილდოებული, ამაში მარწმუნებს მისი ცხოვრების ბიოგრაფიული დეტალები, უფროვე კი მის პოეზიაში წარმომჩენილი მომავლის ჭკრეტა და მერმისის გაცნობიერება. ის, რასაც პოეტი ჯერ კიდევ როდის წერდა, რასაც წინასწარმეტყველებდა, ყველაფერი ახლა. ჯერ კიდევ როდის (1970 წ.) აწუხებდა მუხრანს ქართლის ბედი და მწარედ მოთქამდა:

ვახტანგის ადვილს  
იჭერს ხენჭა! –  
გვეცლება ქართლი  
თვალ და ხელშუა!

აკი გვეცლება კიდევ და სულ მალე დაგვარავთ ამ მხარეს და სრულიად საქართველოს.

მუხრან მაჭავარიანმა ჯერ კიდევ როდის გამოუტანა განაწენი ქართველ საზოგადოებას:

არა იმიტომ, რომ სიტყვა „ქურდმა“  
უარყოფითი დაკარგა ქვერს!  
არა იმიტომ, რომ თუ ხარ სუფთა  
შენსავით მტერმა იცხოვრა შენმა!  
საქმე იმიტომ უფროა ცუდად,  
რომ ცუდად როა, არ იცის ბევრმა!

განა ჩვენი ქვეყნის დღევანდელი უბედურება იმით არ არის გამოწვეული, რომ ქართველი ხალხის უდიდეს ნაწილს ვერ გაუგია, რატომ ვართ ამ ყოფაში და რატომ არის ჩვენი ერის არსებობა არყოფნის ზღვარზე.

სწორედ ამ მიზეზით ჩვენ დღეს უდარდ-ელობას მივცემივართ და „ჩვენი ყოფის თავი და ბოლო ჭამა და საჭმლის მონელემა“ გამხდარა. ვდრეობთ, ვიღვხვით, ვხარობთ და ვვალდობთ მაშინ, როცა საქართველოს თავი წაჰგვარეს და გული ამოჭრეს. მუხრან მაჭავარიანს ანციფერებს ეს რეალობა, მას ესმის დაღონებული კაცის, მაგრამ არ ესმის გახარებული კაცის და მითვის ჩვეული პირდაპირობითა და პრინციპულობით ეკითხება გალადებულ ადამიანს:

ვინც გინდა იყავ –  
გინდა არქიფო,  
თუ გინდა ზაქრო!  
რა გიხარია, შე შობელმადლო!

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ როდის ნასროლი ეს სარკასტული შემახილი დღევანდლობას საოცარი აქტიურობით ეხმარება და ფრთიან ფრახად ქვეყლა კიდევ.

საერთოდ, ქართული პოეზია, შეიძლება ითქვას, ერთი დაუსრულებელი გალობაა სამშობლოს სიყვარულისა. მაგრამ იმ პოეტთა შორის, ვისაც სამშობლო ხატად გაუხდია, მუხრან მაჭავარიანი მაინც გამოირჩევა. ის ამ გრძობით ცოცხლობს.

მეტეც, მას სამშობლო ისე აქვს გაშიანგანებული, რომ ძნელდება პოეტის „მე“-ს და ამ ცნების განცდაკეცება. ის ჭეშმარიტი ქართველია, რომელიც უხსოვარი კოდს ატარებს სისხლით და ხორცილ და სულიერ და სისხლისმიერ კავშირს ამყარებს თავის წინაპრებთან და ერის სულიერ უკვდავებასთან. მას წამს ქართული ჯიშის უკვდავების და ამაყად აცხადებს: „ვითარცა დენო – ქვეყრიდან ხაპში – ხაპიდან დოქში, დოქიდან ჯამში, ქართული სისხლი, ქართული სული, ქართული სიტყვა ქართული გული გადადოდა კაციდან კაცში“. და მიუხედავად იმისა, რომ გზადაგზა ამ სისხლს სგამდნენ, ამღვრვედნენ, უდმერთოდ პრყვნიდნენ, მაინც გამოიარა სახელოვან ქართველთა (ვახტანგის, რუსთაველის, თამარის, სულხანის) გული და მომავალშიც მარად ინქვევებს.

მაგრამ პოეტს ისიც კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ მხოლოდ საამაყო წარსულით ერი ვერ იარსებებს, მის მარადიულობას, ძირითადად, აწმყო აპირობებს: „წარსული კარგი ძალიან დიდიც! აუვი ვინ თქვა! მაგრამ ერთს ვიტყვი, პირდაპირ ვიტყვი, გაწი-გამოწი! – დღეს რაც ხარ! ის ხარ“. ღიახ, მთავარია, „დღეს ამას იქით“ როგორ ვიცხოვრებთ, შექმლეთ კი ჩვენი წინაპრებით გავიდეთ სისხლი, თუკი ეს სამშობლოს დასჭირდება, თუკი ერის – გადარჩენა მითხოსეს. თავად პოეტს მტკიცედ სწამს, რომ ამგვარი ქართველები კვლავაც მრავლად არიან... და თუკი ქართველს ამის არ სჯერა, ასეთ კაცს, მკვდარს თუ ცოცხალს არ ეკუთვნის ქართული მიწა! მეტიც, „კაცი ასეთი ცხენის ძუით არის სათრევი“.

სამწუხაროდ, ჩემო მუხრან, იმ ქვეყანაში, სადაც შენი დარი პოეტის 80 წლისთავს არ ზემოტენ, ჭარბად არიან ძუით სათრევი ქართველნი, რომლებმაც ვერც სამშობლოს სიყვარულს გაუგეს გემო, გემო კი არა, ემწარებათ და სძულთ ეს ობოლი მარგალიტი და ვერც შენი ქართული მზით გამობარი პოეზიის გაეგებათ რაიმე. მაგრამ გული არ გაიტეხო, რადგან შენი გონი და სული „მამულზე მაღლა“ არაფერს მოიხარებს. ამ რწმენით იცხოვრე შენ ოთხმოცი წელი და ამ რწმენით, ასე მხნედ კიდევ მრავალ წელს ამაყად ივლი!

გილოცავ დაბადების დღეს და, თუ როდისმე გული გატკინე, დიდსულოვნად მომიტყევე...

ელიზბარ ჯაგელიძე

„დარწმუნებული ვარ, ქართველი ხალხი არ უსაყვდურებს მუხრან მაჭავარიანს პოლიტიკით მისი ხანმოკლე გატაცებისთვის, თუნდაც, იმიტომ, რომ ის თავისი პრინციპების ერთგული დარჩა და „ორი ბატონის მსახური“ არ გამხდარა. გარდა ამისა, მუხრან მაჭავარიანი ნამდვილად დიდი პოეტია, რომლის შემოქმედებამ ეროვნული თვითშეგნების განვითარებაში უზარმაზარი როლი შეასრულა. ხალხის თვალში ის უკვე გახდა მუხრანი“.

ალექსანდრე ჭავჭავაძე, 1997 წელი.

გახეთ "ილორის" რედაქცია მკითხველ საზოგადოებასთან ერთად დაბადებიდან მეოთხმოცე წლისთავს ულოცავს ღირსეულ პოეტს და მამულიშვილს მუხრან მაჭავარიანს.



ბატონო მუხრან!  
უდრმეს მაღლობას გიხდით მშვენიერი ლექსების შექმნისთვის, მართალი სიტყვისა და ეროვნული იდეის უანგარო სამსახურისთვის. თქვენი პოეზია ქართული წიაღიდან მოედინება და საქართველოსათვის მარადიული სიცოცხლით არის აღსავსე.

რაც სურდა საბას

თუ მსურდეს სხვა რამ, –  
დმერთმა დამლახვროს!  
მსურს მხოლოდ იგი, –  
რაც საბას სურდა, –  
კაცმა ქართველმა, –  
მსურს, –  
ქართულად ილაპარაკოს  
და საქართველოს, –  
საქართველო, –  
მსურს, –  
ერქვას მუდამ!

დმერთმა ქართული, –  
აწ და მარად, –  
აკურთხოს მიწა!  
სვის ჩარხმა მისმა  
აწი მაინც იბრუნოს წაღმა! –  
და ყველას, –  
მქვია ქართველი ვისაც, –  
მსურს, –  
სურდეს იგი, –  
რაც სურდა საბას!

1993

აწინდელი სამართველო

აწინდელი საქართველო  
(უწინდლისა, არ ვიცო!) –  
იყოს უდიდისი,  
არა მგონი,  
გელათის!  
ბაგრატიოს!  
ჯვარისი!  
აწინდელი საქართველო  
(უწინდლისა, არ ვიცო!)  
იყოს დიდისი,  
არა მგონი,  
შოთაისი!  
საბაისი!  
და სხვისი!

აწინდელი საქართველო  
(უწინდლისა, არ ვიცო!) –  
არის დიდისი  
(შემახილით აკაკისით)  
ფურ-  
თხი-  
სი!

1992

მმაპალიობა

საქართველოში უხნეობის სუფვეს თარე-  
ში;  
ცრემლად იღვრება მარიამი.  
იღვხენს არესი.  
შურს ცოცხალს მისი, –  
წვეს, ამაყად, – ვინც სამარეში...  
ხდება რაც ახლა! –  
მოხდეს უნდა  
რა უარესი?!

საქართველოში უხნეობის სუფვეს თარე-  
ში;  
უნახავს დღემდე ამნაირი არვის ტაროსი.  
მმაკალიობას გუნდრუკს უკმევს უნეტარე-  
სი...  
ხდება რაც ახლა! –  
მოხდეს უნდა  
რა უარესი?!

იმნაირია, – ახლა, – ჩვენში მმაკალიობა!  
ენა დაბნია, –  
გენაცვალე, –  
შენს კალიოპეს.

1994

მ ს ს ა ი ნ ბ მ რ მ ს ო ა . . .

ნებავი არ ნაბეკითსა

ჩვენი ყური და თვალი უკვე მიყვია ტელევიზიით გაკეთებულ განცხადებებს იმის თაობაზე, რომ გამოვიდა წინასწარმეტყველ ლულა კაკულის გაზეთის მორიგი ნომერი, სადაც, როგორც წესი, მომავლის ჭკრეტის უნარით დაჯილდოებული ქალბატონი "მთელის სერიოზულობით" ამტკიცებს რუსეთისა და სხვა დიდი იმპერიების გადაშენებისა და, ჩვენი ხელისუფლების წყალობით, საქართველოს აღორძინების უწყველობას. იღონდ ევ არის, რომ კაკულია თარიღებს არ აზუსტებს, რადგან, მის წინასწარმეტყველებას "წყალი არ გაუფა" და როდის ასრულდება ყოველივე, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი ისაა, რომ საქართველოს გადაშენებულ-ამღორძინებულ კაკულია მხოლოდ "ნაც-მობრახას" და მის ლიდერს აღიარებს, რაც წითელ ზოლად გასდევს მისი გაზეთის ყველა ნომერს. ბუნებრივია, დამინტერესა, თუ კიდევ სხვა რა მასალები ქვეყნდება კაკულის გაზეთში და ერთხელ იგი ხელში ჩამოვიარდა. მაგრამ, მტრისას, მე რომ იქ წერილი წავიკითხე, მთელი ერთი თვე იმას განვიცდიდი, რა ჯანდაბად მინდოდა ან ეს გაზეთი, ან მასში გამოქვეყნებული აბლა-უბლა-მეთქი. მაგრამ ის, რაც მე წავიკითხე, აბლა-უბლა კი არა, ნამდვილი მერყეულობა იყო. საქმის არსის ასახსნელად აუცილებელია, რომ კაკულის გაზეთში გამოქვეყნებული ერესი შავი შრიფტით გაემორფოს (რისთვისაც დიდ ბოდიშს ვიხდი და პატივებს ვთხოვ ეკლუ-

სიას) და თან კომენტარები დაეურთოთ. მაშ ასე, წერილის სათაურია "შეხვედრები პატრიარქთან", რომლის ავტორია კაკულიას დაცვის უფროსი, ბატონი დავით კვიციანი. დიას, ჩემო მკითხველო, წინასწარმეტყველ ლულა კაკულის პირადი დაცვა პყავს. მას მართლაც სჭირდება დაცვა, რადგან ისეთი მონდომებით უკმევეს ქართველი ხალხისაგან მოძულეებულ ხელისუფლებას, რომ თუ სადმე მოიხელთეს, შეიძლება თმებითაც ითრიონ. მაშ ასე: "შემოდგომის მიწურულს ესტუმრა ქალბატონი ლელა უწმინდესს საპატრიარქოში. რა თქმა უნდა, მეც თან ვახსლდი. კაბინეტის შესასვლელში ზორბა ტანის როტევილერი იწვა საქართველოს ეკლესიის საჯეტომპრობლის სადარაჯოზე". ერთის სიტყვით, მივიდა დაცვა და პირველ რიგში ყურადღება თავის დამცველ კოლეგას - როტევილერს მიაქცია. ვერაფერს იტყვი, სავსებით ბუნებრივი რეაქციაა! "უწმინდესმა დიდი სიყვარულით შეგვიპატივა ოთახში. ერთმანეთის პირისპირ დაბრძანდნენ პატრიარქი და წინასწარმეტყველი. ურთიერთმოკითხვის შემდეგ ქალბატონმა ლელამ საკუთარი ჩანაწერების კითხვა დაიწყო. უწმინდესი უდიდესი მოწიწებით, ყურადღებით უსმენდა და დროდადრო მე გადმომხედავდა". ასეა, ბატონო, როცა უგზო-

უკვლოდ განათლებული და ყოვლისმცოდნე წინასწარმეტყველი გაგაბრდნიერებს თავისი ვიზიტით, ყურადღებით უნდა უსმინო, რადგან არავინ იცის, კიდევ მოისურვებს თუ არა იგი თქვენთან მობრძანებას. "ვაკვირდებოდი საქართველოს სულიერ მამას და მის თვალბეჭდში აშკარად ვკითხულობდი სიხარულსა და კმაყოფილებას. ვატყობდი, უწმინდესი თითოეული სიტყვას საფუძვლიანად იმახსოვრებდა". აქ უეჭველია, რომ პატრიარქს საიდუმლოდ კონსპექტი ან მაგნიტონანაწერები გაეკეთებინა, რათა კაკულიას ბრძნული წინასწარმეტყველებიდან რამე არ გაბნეოდა. როგორც ჩანს, ეს პროცესი კაკულის დაცვის უფროსის ფხიხელ თვალს გამოეპარა. "ქალბატონმა ლელამ წინასწარმეტყველება ფართოდ გაშალა, წერილად გაშიფრა და დიალოგში გადაიყვანა". არ გველოთ, რომ კაკულიამ ეს მეთოდი რუგორღე შტაინერისაგან იხესხა, ან ფროიდის ფსიქოანალიტიკაში ამოიკითხა. ეს მისი მეთოდია. მკითხველის ყურადღებას აღარ მივაპყრობ სტატიაში მოყვანილ სხვა სისულელეებს, თუნდაც იმას, თუ როგორ დაუსვა დიაგნოზი კაკულიამ უწმინდესს და სახელდახელოდ უმკურნალა კიდევ, თუ როგორ უშუამდგომლა წინასწარმეტყველმა უწმინდესს ქვეყნის

მაშინდელ პრეზიდენტ ელვარდ შევარდნაძესთან, რითაც ეკლესიას უძრავი ქონება შეუნარჩუნდა. აქ სტატის ავტორს ალბათ ავიწყდება, რომ შევარდნაძე პატრიარქის მონათლულია და მათ შორის შუამავლობას არც ერთი დაუშვებდა და არც მერვე. მაგრამ, ქალბატონი ხომ ყველაფერს იტანს და კაკულიას დაცვის უფროსიც ისეთი აღმაფრენით მიაფრენს შთაგონების მერანს, როგორც მისი დასაცავი ობიექტი. "წამოსვლის დროც დადგა... პატრიარქმა შემომხედა და მკითხა: - დავით, იარაღი ყოველთვის თან გაქვს? - დიას, თქვენო უწმინდესობა, მე ხომ მუდმივად ქალბატონ ლელას გვერდით ვარ და იარაღს ამაღაც არ ვიშორებ-მეთქი, ვუპასუხე. პატრიარქმა გაიღიმა. - უწმინდესო, - მოულოდნელად მიმართა მას ქალბატონმა ლელამ. - წინასწარმეტყველების უზარმაზარი მასალა მაქვს და ვფიქრობ, გამოვაქვეყნო. - დაწერე და ყველაფერი გამოაქვეყნე გაძღვე კურთხევას! - ბრძალა პატრიარქმა. და ისევ მე მომიბრუნდა: - დავით, იცი, ლელას იარაღი არასოდეს დასჭირდება! ვერ შევბედე პატრიარქს სრულიად საქართველოსა, მეთქვა, რომ მისა ზედანის შთამომავალი ვარ და ცხენ-იარაღი საოცრად მიყვარს საჭიროების გარეშეც.

ამის მაგივრად ლოცვასავით აღმომხდა: ღმერთმა ინებოს! მეც ასე მინდა-მეთქი". აგაშენოს ღმერთმა, რომ წერილი აქ მთავრდება და ავტორს სხვა მარგალიტების გადმოფრქვევის საშუალება არ მიეცა. დავით კვიციანი ისე კბილებამდე შეიარაღებული შეჰყვია პატრიარქთან დასაცავი ობიექტს ლელა კაკულიას, თითქოს ეს ქალბატონი უწმინდესთან კი არა, ბალთახარ კოსასთან შედიოდა და შეიძლება ბუნებრივია, პატრიარქს დიდად არ ეხიამოვნებოდა კომისარიოთი მაუხერჩამოპროწიანებული ახალგაზრდის უაპელაციო საქციული, მაგრამ ჩვეული ტაქტით მიანიშნა, კაკულიას იარაღით დაცვა არ სჭირდებოდა, რაც ჩვეულებრივ მიეკვლია ენაზე იმას ნიშნავს, რომ ჩემთან იარაღით შემოლაჯება არაკორექტული საქციელია. ერთი შეცდომა კი დაუშვა ლელა კაკულიას დაცვის უფროსმა, ბატონმა დავით კვიციანმა. მას თავიდანვე რომ "გაიასნებინებინა" პატრიარქთან სიტუაცია და ეთქვა, რომ მისა ზედანის შთამომავალი ვარო, პატრიარქი ალბათ ანგარიშს გააუწევდა ახალგაზრდა კაცის სიყვარულს იარაღისა და ცხენისადმი და შეიძლება მისთვის იარაღის საკუთარი არსენალი ეჩვენებინა. ღმერთო, ნუ მიწყენ ამგვარ მერყეულობას და მიუტყვე ყველა უმეცარს, რომელმაც არ იცის რასა იქმს!

ლატვიის მცხოვრებლებს მიაჩნიათ, რომ რუსეთის ფედერაციასთან გაერთიანების შემთხვევაში მათი ცხოვრების პირობები ბევრად გაუმჯობესდება.

დიას, ლატვიელები მიიხნევენ, რომ თუ ისინი რუსეთის შემადგენლობაში დაბრუნდებიან, მათი ცხოვრების დონე ბევრად მაღლა აიწევს იმასთან შედარებით, რა დონეც არის ლატვიაში მათი ევროკავშირში შესვლის შემდეგ. ამას ადასტურებენ გამოკითხვის შედეგები, რომელიც ჩაატარა ცნობილი ტელეარხის **TV-5**-ის პოპულარულმა გადაცემამ **"ცენზურის გარეშე"**. გამოკითხულ რესპოდენტთა 88,2 პროცენტი მიიხნევს, რომ აუცილებელია წარსულში დაშვებული შეცდომების გამოსწორება და ლატვიის გაერთიანება რუსეთის ფედერაციასთან. გამოკითხულთა 2,9 პროცენტი მიიხნევს, რომ ევროკავშირში ლატვიის გაწევრიანება პოლიტიკური შეცდომა იყო და ბალტიისპირეთის ქვეყანამ ეს ორგანიზაცია სასწრაფოდ უნდა დატოვოს. მხოლოდ გამოკითხულ რესპოდენტთა 8,9 პროცენტი აფასებს დადებით მოვლენად ლატვიის ევროკავშირში გაწევრიანებას. სატელევიზიო არხ **TV-5**-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, ხმები ლატვიის ევროკავშირში გაერთიანებიდან გამოსვლისა და რუსეთთან შეერთების თაობაზე, შემდეგნაირად გადაანაწილდა: \* **სწორი გადაწყვეტილებაა, ევროკავშირი ძალას წარმოადგენს** - გამოკითხულთა 8,9 პროცენტი (166 დამსწრე). \* **შეცდომაა, ლატვია უნდა გამოვიდეს ევროკავშირიდან** - 2,9 პროცენტი (54 დამსწრე). \* **ლატვია უნდა შეუერთდეს რუსეთს** - 88,2 პროცენტი (1655 დამსწრე). სულ გამოკითხვაში მონაწილეობდა 1875 რესპოდენტი.

სააკაშვილო, ნადი!

ამერიკის შეერთებული შტატების ქართულმა დიასპორამ გადადგომისაკენ მოუწოდა მიხეილ სააკაშვილს.

"*თქვენ უნდა მიიღოთ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება და დასტროვით პრეზიდენტის პოსტი!*" - ამ მოწოდებით მიმართა მიხეილ სააკაშვილს ამერიკის შეერთებულ შტატებში ქართული დიასპორის ერთ-ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა, საერთაშორისო ტელეარხ **"RTVI"**-ის მთავარმა რედაქტორმა გიორგი ციხისელმა. თავის დროზე, "ვარდების რევოლუციის" მხარდაჭერისათვის იგი "საქართველოს საპატიო მოქალაქის" წოდებით დააჯილდოვეს. გიორგი ციხისელი გამოთქვამს აზრს იმის თაობაზე, რომ დადგა მიხეილ სააკაშვილის გვერდზე გადგომის დრო, რაც სიკეთის მომასწავებელი იქნება სრულიად საქართველოს მოქალაქეებისათვის. - "ვარდების რევოლუციის" შემდეგ თქვენ შეიცვალეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, შეიცვალეთ არა უკეთესობისაკენ, - აღნიშნავს გიორგი ციხისელი საქართველოს პრეზიდენტისადმი გაგზავნილ დიაწვილში. - თქვენ პირობა დასდეთ, რომ ბრძოლას გამოუცხადებდით კორუფციას. მაგრამ ქრთამის რაოდენობა, რომელიც დღეს საქართველოში ადამიანმა უნდა გაიღოს საკუთარი ბიზნესის წამოსაწყებად, რამდენჯერმე გაიზარდა. თქვენ სიტყვის თავისუფლების მებაიარახტრედ მიგანჩნდათ საკუთარი თავი, მაგრამ, სინამდვილეში, ბევრად უფრო სასტიკად დათრგუნეთ საზოგადოების ძირეული უფლება აზრის თავისუფლად გამოთქმაზე. თქვენ გვიპირდებოდით, რომ სამინისტროების რაოდენობა იქნებოდა ოპ-

ტიმალური, მთავრობის საქმიანობა კი გამჭვირვალე და ყველასათვის ხელმისაწვდომი. ნაცვლად ამისა "მინისტრების რაოდენობა თითქმის ერთნახევარჯერ გაიზარდა და მათი მუშაობის ეფექტურობა ძველ ნიშნულზე დარჩა, საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობა კი საერთოდ მივიწყებულ იქნა", აღნიშნავს გიორგი ციხისელი თავის მიმართვაში. "თქვენ მოითხოვდით, რომ საქართველოს საარჩევნო სისტემა ყოველივე გამჭვირვალე, სინამდვილეში, თქვენ უფრო ენერგიულად შეუდგეთ არჩევნების შედეგებით მანიპულირებას", წერს იგი. "თქვენ უნდა დათმოთ, უნდა წახვიდეთ და გვეთ იმის გამბედაობა, რომ ჩაატაროთ წესიერი, გაუყალბებელი, გამჭვირვალე არჩევნები, - აცხადებს გიორგი ციხისელი, - მივცით სხვებს საშუალება, ააშენონ ის, რისი მშენებლობაც თქვენ წამოიწყეთ, მაგრამ რომელსაც ვერასდროს ვერ დაასრულებთ".

კადრზე მოდის ერთი შეცდომა, ზოგჯერ სერიოზული. - ნომბრის ბოლოს საქართველოში შემოაბიჯა მსოფლიო კრიზისმა! მე არ დაუშვებ, რომ რომელიმე ჩინოვნიკმა სირაქლემასავით ქვიშაში ჩარგოს თავი. - მე აქ მოვიყვანე მინისტრი ტყეშელაშვილი, რომელიც აგისხნით იმას, თუ სად რას გავიკეთებთ. - მე საქართველოს მეოთხე პრეზიდენტი ვარ. (სინამდვილეში საქართველოს სულ სამი პრეზიდენტი პყავდა, სააკაშვილის ჩათვლით). - დღეს მსოფლიოში ძალიან კარგად იყიდება ყოველივე, რაც ისმევა და იტყევა. იმიტომ, რომ, ახლა ყველა ჭამს. - ჩვენ ამ ხალხს ცოტათი მოვეუტყერთ... შურუპებს. - მოსეს 27 წელიწადი დაჰყავდა ებრაელები უდაბნოში (სკოლის მოსწავლემაც კი იცის, რომ მოსეს 40 წელი დაჰყავდა ებრაელები უდაბნოში). - შავი ხდვის ამ დედაქალაქში (საუბარია ბუქარესტზე) შეიძლება გადაწყდეს უკრაინისა და საქართველოს ნატოში უწყველად ინტეგრირების საკითხი. - მე გუშინ ტელევიზიით ვნახე, თუ ბაზრის ტერიტორიაზე როგორ მსჯელობდა მუშა ინგლისის ლორდა პალატისა და თქმთა პალატის ურთიერთობებზე. სააკაშვილი: "აქამდე სად მუშაობდით?" პასუხი: "რუსეთსა და უკრაინაში". სააკაშვილი: "ხომ ხედავთ, ცხოვრება იცვლება და ხალხი სამშობლოში ბრუნდება. რამდენი ხანია რაც ჩამოხვედით?" პასუხი: "რვა წელია". - როცა ჩვენ მოვივით მატჩი (ფეხბურთის) შოტლანდიაში. უფრო სწორად - წავაგეთ 2:1. - დღეს საქართველო გახდა ერაყში კვერცხების ექსპორტიორი! - საფრანგეთთან ჩვენ ყოველთვის ვეჭონდა კარგი ურთიერთობა, მაგრამ, ამ შეხვედრის შემდეგ (სარკოზისთან) ყველაფერი 180 პროცენტით შემოტრიალდა

გაზეთი "ილორი" უძღვება რეზიპიას "მსოფლიო ჩემპიონატები ფეხბურთში", რომელიც ასახავს მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ბატალიებს.

# ჩილე — 1962

მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის გათამაშება გაიმართა სამხრეთ ამერიკაში – ჩილეში. მსოფლიო ჩემპიონატისადმი ინტერესი თანდათანობით იზრდებოდა, რაც გამოიხატებოდა გუნდების რაოდენობის ზრდით. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის

გამოვლენილიყო ზემოთ აღნიშნული ფინალისტების რაოდენობა. ფინალური ტურნირის დარჩენილი საგზურები მოიპოვეს გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ, საბჭოთა კავშირმა, უნგრეთმა, არგენტინამ, ურუგვაიმ, ინგლისმა, კოლუმბიამ, იტალიამ, ესპანეთმა, იუგოსლავიამ და მექსიკამ. საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ჯგუფში მოხვდნენ ურუგვაი, იუგოსლავია და კოლუმბია. პირველ მატჩში სსრკ-მ დაამარცხა იუგოსლავია, ხოლო ურუგვაელებმა აძლიეს კოლუმბიელებს. მეორე ტურში სსრკ-მ 4:4 ითამაშა ურუგვაისთან, ხოლო იუგოსლაველებმა 5:0 გაანადგურეს კოლუმბია. მეოთხედფინალის საგზური მოიპოვეს სსრკ-მ და იუგოსლავიამ.



სა და ინგლისის გუნდებმა. მეოთხედფინალში სსრკ დაამარცხდა მასპინძელ ჩილესთან ანგარიშით 2:1. ბრაზილიელებმა სძლიეს ინგლისელებს 3:1, ჩეხოსლოვაკიამ დაამარცხა უნგრეთი 1:0, ხოლო იუგოსლაველებმა მოუგეს მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონებს 1:0. ნახევარფინალურ პაექრობაში ბრაზილიელებმა დაამარცხეს მასპინძლები – ჩილეს გუნდი, ანგარიშით 4:0, ხოლო ჩეხებმა სძლიეს იუგოსლაველებს 3:1. მესამე ადგილისათვის მატჩი ჩილემ მოიგო, რომელმაც 1:0 დაამარცხა იუგოსლავია. ფინალურ მატჩში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ბრაზილიისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები, რომელშიც

ბრაზილიელებმა 3:1 დაამარცხეს მოწინააღმდეგეები და ზედიზედ მეორედ მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა ბრაზილიელი გარინჩა, რომელიც ფიზიკური ნაკლით დაიბადა – მას მარჯვენა ფეხი მარცხენაზე საგრძნობლად მოკლე ჰქონდა, თუმცა ამ ნაკლს მისთვის ხელი არ შეუშლია. 1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე პელებს არყოფნაში გარინჩა ბრაზილიელთა მთავარი დამარცმელი ძალა გახდა, რაც გუნდის შედეგით გამოიხატა. ოქროს ქაღალდით კი ბრაზილიელთა კაპიტანმა მაურიმ ფიფას ახალი პრეზიდენტ სტენლი როუზისაგან მიიღო გიორგი ჯალაღანია

**ფინალი**  
 ბრაზილია – ჩეხოსლოვაკია 3:1 (1:1)  
 17.06.1962წ. "ნასიონალი"  
 68.679 მაყურებელი.

**მსაჯეები:** ნ.ლატიშევი (სსრკ), ლ.პორნი (პოლანდია), რ.დევიდსონი (შოტლანდია).

**ბრაზილია:** ჟილმარი, ჯალმა სანტოსი, ნილტონ სანტოსი, ზიტო, მაური (კაპიტანი), ზოზიმო, გარინჩა, დიდი, ვაგა, ამარილდო, ზაგალი.

**ჩეხოსლოვაკია:** შროიფი, ტიხი, პლუსკალი, პოპლუხარი, ნოვაკი (კაპიტანი), კვაშნიაკი, მასოპუსტი, პოსპიხალი, შერერი, კადრაბა, ელინეკი.

**გოლები:** მასოპუსტი (15), ამარილდო (17), ზიტო (69), ვაგა (78).

**ბომბარდირები**  
 ფლორიან ალბერტი (უნგრეთი) – 4 ბურთი;  
 ვალენტინ ივანოვი (სსრკ) – 4 ბურთი;  
 გარინჩა (ბრაზილია) – 4 ბურთი;  
 დრაჟენ ერკოვიჩი (იუგოსლავია) – 4 ბურთი;  
 ვაგა (ბრაზილია) – 4 ბურთი;  
 სანჩესი (ჩილე) – 4 ბურთი.

**ჩემპიონატის სიმბოლური ნაკრები**  
 შროიფი (ჩეხოსლოვაკია), ნილტონ სანტოსი (ბრაზილია), მასოპუსტი (ჩეხოსლოვაკია), ზიტო, გარინჩა (ორივე ბრაზილია), შეკულარაცი (იუგოსლავია), ამარილდო (ბრაზილია), სანჩესი (ჩილე).

### ბერძნულის სამკუთხედი... საპარაში

დღემდეწაზე უამრავია ბერძნულის სამკუთხედის მსგავსი საიდუმლოებით მოცული მზაკვრული ადგილი. ერთ-ერთი მათგანი – ცენტრალური საპარის ქვიშის დიუნებია. ეს ანომალიური ზონაა! ადგილობრივი ტომები მას გვერდს უვლიან, რადგან იციან, რომ იქიდან ცოცხალი იშვიათად ბრუნდებიან. გადარჩენილები ტრანსში ვარდებიან, ზოგი უახროდ იწყებს ბუტბუტს, ზოგიც სრულად ვამპირებული დაიარება, თანაც გამოშტეტებულია შესაბამისად ევკლეზიბათ. ამკარაა, რომ ხალხი რადაცოთ ძლიერ არის შეშინებული, მაგრამ რით, ან ვის მიერ, არავინ იცის. საპარის

საიდუმლოების ამოცნობას მეცნიერებიც ეცადნენ. სულ ცოტა ხნის წინ იქითკენ საფრანგეთის სწავლულთა ექსპედიცია გაემგზავრა და... გაქრა. მრავალდღიანმა ძებნამ შედეგი ვერ გამოიღო. ხალხი, სამეცნიერო აღჭურვილობა და ტექნიკა თითქოს ქვიშამ ჩაყლაპა.

### უცნობი ცივილიზაციის მცველები

კოლუმბიაში, ანდებში, 2000 მეტრ სიმაღლეზე, ხეებსა და ბუჩქებს შორის უცნაური ქანდაკებების ველია გაშლილი. ადამიანების, ღმერთებისა და ცხოველების 500 ქვის სკულპტურა ჯარისკაცებისთვის ჩამწკრივებულან უც-

ნობი, გამჭრალი ცივილიზაციის სადარაჯოზე. ვინ და რატომ დააყენა ისინი და რატომ არიან ესოდენ მოღუშულები? მკვლევართა ნაწილის აზრით, ეს საფლავის მოდარაჯე სკულპტურებია, მაგრამ მაშინ გამოდის, რომ ზოგ სამარხს ღმერთები მფარველობენ, ზოგს – ხალხი, ზოგს კი ცხოველები. შესაძლებელია კი მიცვალებულთა ასეთი სოციალური დაყოფა? კოლუმბიელი არქეოლოგის აზრით, ქვის ნაკეთობები ინდიელების რწმენას გამოხატავენ. მართლაც, ვინ გაბედავს იმ ტერორიზმზე ფეხის დადგმას, რომელსაც ასეთი მცველები დარჯობენ?

## ილორი

კახელს მეგობრები ეკითხებიან:

- მიხო, ცოლი რომ მოიყვანე, ქალიშვილი იყო?
- ქალიშვილი იყო, აბა ვირიშვილს ზომ არ მოვიყვანდი? – გაუკვირდა კახელს.

ციხის საკანში ერთად სხედან საათის და ძროხის ქურდები. უსაქმობისა და მოწყვნილობისაგან გაბეზრებულმა ძროხის ქურდმა საათის ქურდის გამასხრება გადაწყვიტა და ირონიულად ეკითხება:

- ვერ მეტყვი, ახლა რომელი საათია?
- ზუსტად არ ვიცი, მაგრამ მეონი, ძროხის მოწყველის დრო უნდა იყოს...

ბიჭი ეპატიუება ვოგოს:

- წამო, ჩემთან ავიდეთ.
- რას ამბობ, როგორ შეიძლება, ჩვენ ჯერ საერთო ნაცნობებიც კი არა გვყავს.
- პიტლერს იცნობ, ვინ იყო?
- კი!
- ჰო და, გვეყოლია კიდევ საერთო ნაცნობი. ამიტომ, თამამად წამოდი!

### სასაცილო სიახლე

თბილისის სპორტის სასახლეში ამას წინათ გაიხსნა სპეციალური გამოფენა თემაზე "ნაციონალური მოძრაობის მიღწევები საქართველოში მათი მმართველობის ხუთი წლის მანძილზე".

ყველა საგამოფენო სტენდი აღჭურვილია კომფორტული საფურთხელებით.

### მკურნალი ქვების ველი

ბულგარეთის ქალაქ ვარნას მახლობლად ველზე მოფენილი სასწაულმოქმედი ქვების სანახავად მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან მოდიან. ეს ქვები ბევრ სნეულებას კურნავს, სულიერად განამტკიცებს, ძალას აძლევს ადამიანებს. სოფლის უნივერსიტეტის მეცნიერები ცდილობენ ამ საიდუმლოს ამოცნობას, მაგრამ ჯერჯერობით ვერ ახერხებენ.

**მასთან სიცოცხლეა ხელჩაქეულა მილიან გამოჯანმრთელაულები ბრუნდებიან**

**გაგელი**

**გაგელიის პრეპარატი არჩენს**

*ავთვისებანი სიმსივნე დაავადებას, ჯან-ნაწლავის გაჯალღობას, პროსტატის, ფოსტატის, ბაუსილს, ნაწილის ანთიზას, ნაწილის, ფსიქიკურ დაავადებას, პარანოსის, ასთმას, რიჟვს, გულისა და თირკმელის დაავადებას, სპონს უროს თირკმელში, ჰეპატის გაჯანმრთელი სტატიონის და შიდსს, შვლის ცერაბრალური დაავადებას, ყრუობის დაავადებას, ოსტეოპოროზს, ბიომორფის, სისხლის გათეთრებას, სეფსისს, ბოტულიზმს, ბაქტერიულს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ბოტინს, ულთის, ნაწილის ბუბის დაავადებას, ანთიპროკოვას, ქლამიდიას, ჰლიმას, გულულს, ფსიქიკურს, სანსრების დაავადებას, პილიფიციას, ავარიას იშვინებას, ახლან თავის ბინის უკრავის ალფა-განაწილებას, ღაფიტილ მონაწილს სასაულარ დაავადებას და ნაწილისაგან თან დაავადებას.*

**ქოროლინაბია:**

თელავი, ავანსიონის ქაჩა №61-ბ, გაგელი ბიჭიკო (ლომინი).  
 ტელ: 893-22-66-51 8(250) 7-61-24  
 თბილისი, ნინოშვილის 120  
 ბათუმი, ასათიანის 11,  
 (ორგანის, ოთხგანათს და პარასიკს, 10-და 14 საათამდე).

<p>გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციის ავტორებს უკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე</p>	<p>რედაქციის მისამართი: <b>თბილისი, ტაბიძის ქაჩა №23</b></p>	<p>მთავარი რედაქტორი: <b>როლანდ ჯალაღანია</b>          მთ. რედაქტორის მოადგილე: <b>ღავით ქობალაია</b>          ტექნიკური რედაქტორი: <b>მიხაილ ჩოლოგიანი</b></p>	<p><b>anaklia@web.de</b>  <b>e-mail:elisabeththal@yahoo.de</b>  <b>ჩაქალაქის განთავსება</b>  <b>384-197</b></p>
---	--	---	---